სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 ივნისი 2006 №123 (2745) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

25

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობას გაძლევთ და პასუხს ვაგებ ჩემს სიტყვებზე: მოგდევნო თამაშს საქართველო მოიგებს!

მილიონ, მილიონ, მილიონ ალიხ როზ

რაღაცა მაინც პოსტსაბჭოური: რუსებრაელმა ოლიგარქმა და უკრაინელმა სუპერფორვარდმა ხელი ფულს დაპკრეს

რასაც ვერ იყიდი დიდი ფულით, იმას ძალიან დიდი ფულით იყიდი. ვის-ვის და, ჩუკოტკის გუბერნატორ რომან აბრამოვიჩს ამისთანები ნამდვილად არ ესწავლება.

წუხელ აწ უკვე „მილანის“ ექსფორვარდმა და უკრაინის ნაკრების კაპიტანმა ანდრეი შევჩენკომ ლონდონის „ჩელსისთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რომან აბრამოვიჩმა ჟოზე მაურინიუს ხომ აუსრულა წადილი და გულნატკენი არც სხვები დაუტოვებია: „მილანის“ ხაზინა 30 მილიონი გირვანქით შეივსება, ანდრეი შევჩენკოს საოჯახო ბიუჯეტი კი კვირაში 190 ათასი ევროთი.

„ერთი დიდი კლუბიდან მეორე დიდ კლუბში გადმოვედი. „ჩელსის“ გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს და მომავალ სეზონში პრემიერლიგის ზედიზედ მესამე ტიტულის გარდა, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებადაც ვიბრძოლებთ“ — ეს განცხადება „შევამ“ ყოველგვარ პომპეზურობას მოკლებული და მაქსიმალურად საქმიანი ცერემონიის შემდეგ წარმოთქვა.

ამხანაგური მატჩი

ტოპმიოლერროვნული პათოსი: ჩვენ მოვიგეთ!

დორნბირნი. 31 მაისი. 20.30 საათი. ცენტრალშტადიონი. 3 000

პარაგვაი 1:0 საქართველო

1:0 ვალდესი (40)

პარაგვაი	საქართველო
(წუნიესი 81), გამარა, კასერესი, ბონეტი, აკუნია, პარედესი, რივეროსი (ბარეტო 58), ვალდესი, კანისა (სანტა კრუზი 80), კუვასი (დოს სანტოსი 58)	(გოგუა 63), კალაძე, ხიზანიშვილი, კანდელაკი, კანკავა, მენთეშაშვილი (კვირკველია 78), ასათიანი (მუჯირი 74), ალადაშვილი (დემეტრაძე 63), მარცვალაძე (იაშვილი 71), არველაძე
სათადარიგონი: კაბანისი, გავილანი, გომესი, და სილვა, მანსური, მონტიელი, კარდოსო, ბობადილა	სათადარიგონი: რევიშვილი, ღვინინაძე
მწვრთნელი: ანიბალ რუისი	მწვრთნელი: კლაუს ტომპიოლერი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი (62), გოგუა (70), ტოლედო (79)

მსაჯი: ტ. გენგლი (ავსტრია)

ძოგა ინასარიძე დორნბირნიდან

თითქოს ამ მატჩს ელოდაო, დორნბირნის ცამ გუშინ დილიდანვე გადაიყარა ღრუბლები და ქართველებმა აქაური დარი ძლივს ვნახეთ. ნაშუადღევს ერთი კიდევ წამოაჟუჟუნა, მაგრამ მატჩის წინ, იცოცხლეთ, გამოიდარა, რამაც მაყურებელი გაახალისა და ქოლგები გვერდით გადაადებინა. ტემპერატურამაც 16 გრადუსამდე აიწია.

ნომინალურად ამ მატჩის „მასპინძლად“ პარაგვაი ითვლებოდა და აკი სამხრეთამერიკელი ქომაგებიც ბლომად იყვნენ, თუმცა არც ქართველობა იყო თითებზე ჩამოსათვლელი. ხუთჯერიანი დროშებით ხელდამშვენებული გოგო-ბიჭები გულმხურვალედ ქომაგობდნენ გუნდს და ნამატჩევს საკმაოდ თბილადაც გამოაცილეს ფეხბურთელები.

მატჩამდე ორი საათით ადრე ჩვენები მეტოქეს სასტუმროში შეხვდნენ — ნაცნობებმა ერთმანეთი მოიკითხეს, სხვები კი ერთურთს სათოფეზეც არ გაკარებიან. თამაშისწინა დარიგებაც ორივე გუნდმა თითქმის ერთდროულად მოისმინა, პარაგვაი კი სტადიონზე 15 წუთით ადრე დაიძრა და „სტუმრებს“ იქ დახვდა. სამაგიეროდ, ჩვენებმა უფრო ადრე დაიწყეს მოთელვა და ტრიბუნებიც პირველად აახმაურეს. 3 000-იანი ტრიბუნა კი მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე შეივსო.

...ორგანიზატორებს ერთი იაღლიში მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე მოუვიდათ: ფეხბურთელები ჯერ კიდევ გასახდელში იყვნენ, როცა ჩვენი ჰიმნი გაისმა და ქართველების გარდა, მგონი, ვერავინ გაიგო, ეს რა მელოდია იყო.

სხვათა შორის, ასეთივე გაუგებრობა ალტენკირხენშიც მოხდა, თუმცა მაშინ ახალი ზელანდიის ჰიმნი აახმაურეს ნაადრევად.

ვინც ახალ ზელანდიასთან საქართველოს ნაკრების მატჩის საგაზეთო რეპორტაჟი წაიკითხა, ჩვენი ოპტიმისტური ტონი ეგებ გადაჭარბებულიც ეჩვენა. თუმცა იქვე ვთქვით, რომ ამ ეტაპზე მთელი ყურადღება არა მატჩის შედეგზე, არამედ გუნდის შენების პროცესზეა გადატანილი. საქართველოს ნაკრებმა პარაგვაელებთან მატჩში ოთხი დღის წინანდელი სიუჟეტი თითქმის ზუსტად გაიმეორა: უპირატესობა, უამრავი საგოლე და არც ერთი გამოყენებული შანსი, ტაიმის მიწურულს გაშვებული გოლი და საბოლოოდ — მარცხი.

კლაუს ტომპიოლერმა მატჩამდე ორი დღით ადრე გვითხრა, პარაგვაი ალბათ დაცვიდან, კონტრშეტევებზე ითამაშებსო. სამხრეთამერიკელებს მართლაც არ ულალატიათ ჩვეული ტაქტიკისთვის და თამაში მეტისმეტად ფრთხილადაც კი დაიწყეს. საწყის სამ წუთში ჩვენებმა მეტოქე, ფაქტობრივად, ბურთს არ გააკარეს და ეს მონაკვეთი ჯაბა კანკავას არაზუსტი დარტყმით დააგვირგვინეს. ჯაბამ სამ წუთში გაცილებით სახიფათოდ გაისროლა, როცა დასარტყმელ პოზიციაზე ოთარ მარცვალაძისა და შოთა არველაძის ფლანგური კომბინაციის შემდეგ აღმოჩნდა — დარტყმული საკმაოდ ძლიერი გამოვიდა და მიწიდან ასხლეტილი ბურთი პარაგვაელთა მეკარეს მკერდში მოხვდა, მერე კი მცველებმაც ივარგეს.

თანდათან ორივე გუნდის მონახაზი გამოიკვეთა. ჩვენი გუნდი 4-3-3 განლაგებით რომ თამაშობდა, ძნელი გამოსაცნობი არ იყო და მეკარის პოზიციას თუ არ ჩავთვლით, კლაუს ტომპიოლერმა სწორედ ის სასტარტო შემადგენლობა შეუშვა მოედანზე, „სარბიელის“ გუშინდელ ნომერში რომ ვივარაუდეთ. დაცვაში მარჯვნიდან მარცხნივ ლაშა სალუქვაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა კალაძე და ილია კანდელაკი თამაშობდნენ. მოედნის ცენტრში მალხაზ ასათიანს ჯაბა კანკავა და ზურაბ მენთეშაშვილი უმაგრებდნენ ზურგს, ცენტრფორვარდი შოთა არველაძე იყო, ფლანგები კი ოთარ მარცვალაძემ და კახა ალადაშვილმა ჩაიბარეს.

სანამ გუნდების მონახაზს ვეცნობოდით, ჩანს, პარაგვაის ნაკრებმაც აუღო ალღო ქართველების თამაშს და გიორგი ლომაიას ხუთწუთიანი უმძიმესი გამოცდა მოუწყვეს. მე-8 წუთზე ჩვენი საჯარიმოდან თითქოს ამოტანილი ბურთი პარედესმა ერთი შეხებით გაისროლა და „ლომამ“ ლამაზი ნახტომით კუთხურზე გადააგდო ბურთი. ოთხ წუთში აკუნიამ ასე, ოცდაათი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა — ლომაიამ წინ კი დააგდო ბურთი, მაგრამ უკვე დაცემულმა ფეხი დაუნაცვლა და მდგომარეობა განმუხტა. კიდევ ერთი წუთის შემდეგ ჩვენს მეკარეს უკვე სპირისპირო, მისგან მარცხენა დაბალი კუთხიდან მოუხდა რთული ბურთის გამოძრობა — აშკარად თამაშის იშტაზე ჩანდა გიორგი.

პარაგვაელთა ეს თავგამოდება მალევე ჩაცხრა და ბურთმა კვლავ მათ ნახევარზე გადაინაცვლა. ჩვენები თავდაჯერებულები ჩანან, თუმცა ნაკლებად იტვირთება მარცვალაძის მარცხენა ფლანგი და მას ერთხელაც არ მიეცა გაქცევის შანსი. საკომპენსაციოდ, მარცვალაძემ მოედნის ცენტრში შეწევას და საკუთარ ნახევრამდე დაწევას უხშირა და ნახევარდაცვას თამაშის სადაავების დაუფლებაში დაეხმარა.

თამაშის სადაავებიო რომ ვთქვით, უპირველესად მალხაზ ასათიანი ვიგულისხმეთ. პირველი „ასა-ფართი“ 28-ე წუთზე ვიხილეთ, როცა ასათიანმა შოთა არველაძე მოხდენილი თავურით შეატოვა მეკარეს — ალკმაარელმა ბურთი თავზე საგოლედ გადაავლო ვილიარს, თუმცა არბიტრმა არ ჩათვალა — თანამსაჯს ალამი აეფრიალებინა. არადა, მეტისმეტად საკამათო თამაშგარე ჩანდა.

31-ე წუთი: შოთა არველაძე ისევ პირისპირ დარჩა და მსაჯმა ისევ ალამი ააფრიალა. თამაში აშკარად ქართველებისაა, თუმცა მოედნის ცენტრში ლევან კობიაშვილის არყოფნა იგრძნობა. ლევანიც რომ გვყავდეს, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე პარაგვაელებს ალბათ ვერაფერი იხსნით. იქვე ასათიანის დიდებული პასი შოთამ მკერდით შეიგდო და მახვილი კუთხიდან ცაციათი დაარტყა — მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

ტაიმის დასასრული ახლოვდება, ახალ ზელანდიასთან მატჩი გვახსენდება და თითქოს უსიტყვოდ ვკარნახობთ ჩვენებს, ფრთხილად იყვნენ, მაგრამ... კალაძესა და ხიზანიშვილს შორის მოქცეულმა ვალდესმა სისწრაფეში ორივე დაჯაბნა, კარიდან გამოვარდნილ ლომაიას ჭვინტით გააცალა ბურთი და მახვილი კუთხიდან გაიტანა — 0:1.

გოლის გაშვება იყო და, სამ წუთში ქართველებმა სამი მომენტი შექმნეს ვილიარის კართან: ასათიანის პასი შოთამ საჯარიმოში შეიყოლა და მისი დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია, წუთის შემდეგ მოედნის სიღრმიდან უკვე შოთა აძლევს მარცვალაძეს დიდებულ პასს და მცველი წამით ასწრებს, შტურმის მაგვარი კი კანკავას გამჭოლი გადაცემით სრულდება, რომელიც ვერაინ „ჩაკეტა“.

ამხანაგური მატჩი

ტაიმის ბოლო საგოლე შანსი ისევ პარაგვაელებს მიეცათ. საქართველოს ნაკრების დაცვის ცენტრში მორიგი შეუთანხმებლობა და ლომაია სასწაულებრივი რეაქციით იგერიებს ახლო კუთხეში ვალდესის უძლიერესად დარტყმულს.

გუნდები შესვენებაზე გადიან. უპირატესობა აშკარად ჩვენ მხარესაა, თუმცა გოლი არ ჩანს. აი, დაცვაში კი აშკარად მეტი მობილიზება და სინქრონულობა გვმართებს. ორთაბრძოლებში კახა კალაძე და ზურაბ ხიზანიშვილი მეტოქეებს გოჯსაც არ უთმობენ, მაგრამ როცა შეთანხმებულ მოქმედებაზე ან დაზღვევაზე მიდგება საქმე, ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან ძალიან ცხელა. თან ესეც გაითვალისწინეთ: გუშინდელი დაცვა ახალ ზელანდიასთან მატჩისგან განსხვავებით გაცილებით ორგანიზებული ჩანდა...

სიცხე ვახსენეთ და, შესვენებისას დორნბირნში სამჯერ შეიცვალა ამინდი. ჯერ მზემ გამოანათა, მერე სულ ორი წუთით კოკისპირულად დასცხო, ზედ მეორე ტაიმის წინ კი ცაზე ცისარტყელაც გამოჩნდა. შესვენებისას სტადიონზე ორკესტრი უკრავს, სამწვრთნელო შტაბმა კი სათადარიგოებიდან ალექსანდრე იაშვილი და გიორგი დემეტრაძე გაიხმო. როგორც ჩანს, პირველები შეცვლაზე ისინი შევლენ. ახლავე თუ თამაშის განახლების შემდეგ?

მეორე ტაიმს იგივე შემადგენლობით ვიწყებთ. უპირატესობა კვლავაც ქართველებისაა, თანაც გაცილებით შთამბეჭდავი. 49-ე წუთზე ალადაშვილი ურტყამს და კარს სანტიმეტრებით აცილებს. ერთი წუთის შემდეგ კი ჩვენი გუნდი, ქრესტომათიულს რომ იტყვიან, იმგვარ კომბინაციას ათამაშებს — კალაძე ცენტრიდან ბურთიანად დაიძრა, გზად ჯერ არველაძესთან, მერე ასათიანთან ათამაშებს კედელს და მოსკოვის ლოკომოტიველ ჩვენებურს კარის წინ მარტოს ტოვებს. ასეთი პოზიციიდან ასათიანს ათიდან ათი უნდა გაჰქონდეს, მაგრამ ფაქტია — ათი მეტრიდან დარტყმული მალხაზმა კარს გადააცილა.

მოედანზე შეცვლათა კასკადი იწყება. კლაუს ტოპმიოლერმა მარჯვენა ფლანგის გაძლიერება გადაწყვიტა და ლაშა სალუქვაძე გოგიტა გოგუათი, კახა ალადაშვილი კი გიორგი დემეტრაძით შეცვალა.

ბურთი თითქმის სულ ჩვენებისაა. პარაგვაელები ისე ღრმად ჩაჯდნენ დაცვაში, თითქოს უკვე მუნდიალის სასტარტო მატჩს უგებდნენ ინგლისს. არადა, დაცვის ცენტრში მათ ჩვენზე დიდი ნაპრალები აქვთ. 68-ე წუთზე ასათიანს კიდევ ერთხელ გაჰყავს მეკარესთან პირისპირ არველაძე, ფორვარდი დაბალ კუთხეში ურტყამს, მაგრამ მხოლოდ კუთხური... ათ წუთში შოთა ისევ პირისპირაა — ამჯერად მოტყუება დაუპირა მეკარეს და ბოლო მომენტში ფეხი დაუცდა.

იქვე კიდევ ერთი შეცვლა: მენთეშაშვილს კუნთი დაეჭიმა და დავით კვირკველიათი ცვლიან. ესეც ნიშანდობლივი მომენტია — საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ხომ სამი კვირაა, შვებულებაში არიან და ხუთი დღის წინ შეიკრიბნენ. ძნელია, მომქანცველი სეზონის შემდეგ ფეხბურთელს ორკვირიანი ინდივიდუალური ვარჯიშით ფორმის შენარჩუნება მოსთხოვო.

ბოლო მომენტს 90-ე წუთზე ვქმნით. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ კუთხურს ხიზანიშვილი თავს უხვედრებს და ზემოდან აცილებს კარს.

და საფინალო სასტვენი...

დავმარცხდით, თუმცა ახლა შედეგზე სულაც არ ვფიქრობ. უფრო სწორად, არ მინდა, ვიფიქრო. არც ვინმესი მრცხვენია. საქართველოს ნაკრებმა ფეხბურთი ითამაშა. შეიძლება ექსტრაკლასის არა, მაგრამ თანამედროვე, დალაგებული ფეხბურთი. მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში, სადაც არ უნდა მოხვედრილიყო ბურთი, წითელმაისურიანი ქართველიც ჩანდა. ჩვენმა გუნდმა მოედნის მთელი სივრცე აითვისა და ეპიზოდებში მჭიდრო პრესინგიც მოუწყო პარაგვაელებს. გამოდის, რომ კლაუს ტოპმიოლერმა ფეხბურთელებამდე საკუთარი ჩანაფიქრის მიტანა, ფეხბურთელებმა კი ამის აღქმა შეძლეს. ხარვეზები, რა თქმა უნდა, არის და საკმაოც, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, ვის ვეთამაშეთ. ეს არც ალბანეთია, არც მოტივაციადაკარგული უნგრეთი ან ლიტვა, პარაგვაელებმა ხომ სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ზონაში მხოლოდ ბრაზილია და არგენტინა გაუშვეს წინ.

სამწუხარო ისაა, რომ ფაქტობრივად პირველი მოსამზადებელი შეკრება ბოლოც გამოდის. 16 აგვისტოს ფარერებთან ევროშესარჩევ მატჩამდე აღარაფერია დაგეგმილი, არადა, მისწრება იქნებოდა, რომ გამოგვეძებნა ვინმე, ერთი ამხანაგური გაგვახერხებინა და ეგებ ახალ სტადიონზე ახალ ნაკრებს ვუქომაგოთ...

ნამატჩევს

გასახდელში შესულმა *კლაუს ტოპმიოლერმა* ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა, მერე კი ჩვენთვისაც მოიცალა: „პირველ 15 წუთში ჩემი ფეხბურთელები თითქოს დაბნეულები ჩანდნენ, რაც უნდა იყოს, მეტოქედ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდი გვყავდა. როგორც კი სადებუტო მღელვარებამ გაიარა, გუნდმა თამაში დაალაგა და უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. არ მახსოვს, რომელიმე გუნდს პარაგვაელთა კართან ამდენი მომენტი შეექმნას. დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი და ნახავთ, რომ ამდენ მომენტს პარაგვაის ვერც ინგლისი შეუქმნის, ვერც შვედეთი ან ტრინიდადი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარაგვაის ნაკრები ახლა ფორმის პიკზეა, ჩვენი ფეხბურთელები კი შვებულებიდან გამოვიდნენ და როგორც ფიზიკური, ასევე ბევრი სხვა პარამეტრით ჩამორჩებოდნენ მეტოქეს. ესეც იყო ერ.თ-ერთი მიზეზი, საგოლე მომენტები რომ ვერ გამოვიყენეთ.

...საქართველოს ნაკრების თამაშში არის პროგრესი და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ. ახალ ზელანდიასთან მატჩის ფირის განხილვამ მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა და დღეს შეცდომები ნაკლებად იყო, როგორც ცალკეული რგოლების, ასევე გუნდურ თამაშში. სასიამოვნოა, რომ ბიჭებმა კარგად გაიგეს ჩემი და გამომყვნენ. პირობას გაძლევთ და პასუხს ვაგებ ჩემს სიტყვებზე: მომდევნო თამაშს საქართველოს ნაკრები მოიგებს!"

კომენტარი პარაგვაის ნაკრების მთავარ მწვრთნელ *ანიბალ რუისსაც* ვთხოვეთ: „სწორედ ამ ყაიდის, ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარ გუნდთან გვსურდა თამაში, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, არ გვეგონა, თუ საქართველო ასეთ წინააღმდეგობას გაგვიწევდა. ვიცი, რომ თქვენი გუნდი შენების გზაზეა და გარწმუნებთ, რომ მას დიდი მომავალი აქვს. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ლამაზი ფეხბურთისთვის და წარმატებებს გისურვებთ."

ქინქლაძე ისევ ინდივიდუალურადაა

რუბინი და ქართველობა შვეიცარიაში მიდიან

გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, რომ ყაზანის „რუბინის" ჩვენებურები, გიორგი ქინქლაძე და მიხეილ აშვეთია ტრავმებისგან განიკურნენ და ვარჯიში დაიწყეს, თუმც ქინქლაძე სრულად გამოჯანმრთელებული ჯერაც არაა, მას საზარდულის ტრავმა ძალიან გაუმიზეზდა და გაუხანგრძლივდა და ამის გამო ინგლისშიც კი ჩავიდა...

— მანჩესტერში ვიყავი, იქაურ ექიმს გავესინჯე და მითხრა, ტრავმა იმიტომ გაგიგრძელდა, რომ მკურნალობის შემდეგ მალევე განაახლე ვარჯიშიო. ახლა ყაზანში ვარ, მაგრამ ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მიხეილ აშვეთია კი უკვე გუნდთან ერთადაა. 3 ივნისს შვეიცარიაში მივდივართ შეკრებაზე და იქ ალბათ გუნდთან ერთად მეც დავიწყებ ვარჯიშს. შვეიცარიაში 24 ივნისამდე გავჩერდებით — გვითხრა ქინქლაძემ, ვისაც წლეულს რუსულ პრემიერლიგაში ერთხელაც არ უთამაშია ჯერ მოტეხილი ნეკნის, მერე კი მტკივანი საზარდულის გამო.

დავით თავართქილაძე

ქართველი ჩემპიონები ან დარჩებიან ან არა

ალექსანდრე გოგობერიშვილის და ალექსანდრე რეხვიაშვილის „ბაკი" აზერბაიჯანის ჩემპიონი რომ გახდა, უკვე გაუწყეთ. გოგობერიშვილსაც და რეხვიაშვილსაც კონტრაქტი დაუმთავრდათ „ბაკისთან" და შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ამ გუნდში აღარც იყვნენ.

გოგობერიშვილმა სეზონი სტაბილურად ჩაატარა, სულ ძირითადში იყო და „ბაკის" ხერხემალს წარმოადგენდა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშით. ის უფრო დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული, თუმცა ხუთი გოლი გაიტანა და შვიდი საგოლე გადაცემა შეასრულა.

„მეორე წრე მძიმედ დავიწყეთ, იმდენი ქულა დავკარგეთ, რომ ჩემპიონობის თეორიული შანსიღა შეგვრჩა, მაგრამ ბოლო რვა თამაში მოვიგეთ. ბოლო ტურში „ინტერთან" იღბალიც ჩვენ მხარეს იყო, გოლი რიკოშეტით გავიტანეთ, მთელი მეორე ტაიმი კაცნაკლულნი ვიყავით და ასეთ მძიმე ბრძოლაში საჩემპიონო სამი ქულა მოვიპოვეთ. შეხვედრას ათი ათასი მაყურებელი დაესწრო" — გვითხრა გოგობერიშვილმა.

ეს მისთვის მეორე აზერბაიჯანული ტიტულია — 2005 წელს გოგობერიშვილმა აზერბაიჯანის თასი მოიგო.

„გუნდმა ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, მაქვს შემოთავაზება სხვა აზერბაიჯანული გუნდებიდანაც. თუ სათანადო პირობებს შემომთავაზებენ, არ არის გამორიცხული, საქართველოში გავაგრძელო თამაში, მაგრამ ამ დროისთვის აზერბაიჯანულ კლუბებში გაცილებით უკეთესი პირობებია. საქართველოში კი ივო შუშაკის დროინდელ „დინამოში" იყო ისეთი პირობები, მართლა კომფორტულად რომ ვგრძნობდი თავს" — განგვიმარტა 28 წლის გოგობერიშვილმა, რომელიც ალენ ჟირესის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში არც ერთ მწვრთნელს არ მიუწვევია.

„ბაკის" მეორე ჩვენებური ალექსანდრე რეხვიაშვილი ძირითადში ხშირად ვერ ხვდებოდა, თუმცა გოგობერიშვილმა გვითხრა, რომ რამდენჯერაც მიეცა თამაშის შანსი, რიგიანად გაისარჯა. რეხვიაშვილი შესაძლოა, ლატვიაში დაბრუნდეს სათამაშოდ.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გოჩა ტრაპაიძის, ალექსანდრე ინწკირველის და რომან ახალკაცის „ქარვანი" გავიდა, ხოლო მესამეზე გიორგი ადამიას და ვალერი აბრამიძის „ნეფთჩი".

დავით თავართქილაძე

სუპერთასი დღეს ელის

სიონი და ამერი სტადიონზე ფიქრობენ

როგორც კი თბილისის „ამერმა" საქართველოს თასი მოიგო, ქვეყნის ჩემპიონმა ბოლნისის „სიონმა" მას სუპერთასისთვის გაჯიბრება შესთავაზა. „ამერმაც" გამოწვევა მიიღო და, როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, ეს მატჩი თელავში ან ბათუმში გაიმართოს. თუმც გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მათ შორის არც მატჩის თარიღი. რადგან ორივე კლუბი ევროთასებზე მონაწილეობს, ჩემპიონატისწინა თარიღზე შეთანხმება გაძნელდება. ასეთ შემთხვევაში, სუპერთასი, სავარაუდოდ, 21 სექტემბერს გათამაშდება.

იმედაშვილი კიევში, ვიტ ჯორჯია სიმფეროპოლში



ვიტჯორჯიელთა დამრიგებელ ნესტორ მუმლაძეს გუნდი უკრაინაში მიჰყავს

შვებულების შემდეგ გუშინ პირველად შეიკრიბა მე-17 ეროვნულის მეორეადგილოსანი „ვიტ ჯორჯია", მაგრამ არა სავარჯიშოდ — გაიმართა გუნდის კრება, რომელსაც ყველა ვიტჯორჯიელი დაესწრო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე გუნდიდან დავით იმედაშვილის გარდა წასვლას არავინ აპირებს. „ვიტ ჯორჯიაში" ახალი ფეხბურთელიც არ მისულა — იმედაშვილი კი კიევის „დინამოში" დღეს მიდის.

გუშინდელ კრებაზე გადაწყდა, სად გაივლის უცხოურ შეკრებას „ვიტ ჯორჯია" — ვიტელები 24 ივნისს უკრაინაში, სიმფეროპოლში ჩავლენ და იქიდან ათი კილომეტრის მოშორებით ახალაშენებულ საფეხბურთო ბაზაზე დაბინავდებიან — „ვიტ ჯორჯია" იქ 8 ივლისამდე გაჩერდება, ხოლო 13 ივლისს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავს — მისი მეტოქე 23 ივნისის წილისყრაზე გაირკვევა.

დავით თავართქილაძე

ვიჭედებით?

16 აგვისტოს საქართველო ფარერებსა და ლიტვაში იყოფა

16 აგვისტო ქართული ფეხბურთისთვის ცხელი დღე იქნება — როგორი საქმეა, კლაუს ტოპმიოლერის ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლს ფარერებთან მატჩით იწყებს და დიდწილად ამ თამაშის შედეგი გადაწყვეტს, რა ხასიათზე დავხვდებით სექტემბერში საფრანგეთს.

ფარერელები ფეხბურთში მოყვარულებად კი ითვლებიან და მეტიც, საქართველოში ყველაზე მეტად სტადიონზე ცერემონიულად მოშარდვით დაგვამახსოვრეს თავი, მაგრამ მთლად ისეთი წყალწაღებულებიც არ არიან, საქართველოს დონის ნაკრებმა ხელაღებით რომ მოუგოს სტუმრად. თუ არა და, შეგახსენებთ, ბოლო წლებში ფარერელებთან შოტლანდიას ორჯერ დაუკარგავს ქულები, ერთხელ რუსეთის ნაკრები სულაც აგებდა და ძლივს მოიგო.

რაში დაგვჭირდა ამ ყველაფრის აღნიშვნა? იმად, რომ 16 აგვისტოსვე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევი მატჩი აქვს ლიტვაში და ახლა ჩამოვთვალოთ, რამდენი 21-წლამდელია ამავდროულად კლაუს ტოპმიოლერის ნაკრების წევრი: ოთარ მარცვალაძე, ნუკრი რევიშვილი, ჯაბა კანკავა, ზაალ ელიავა, მათე ღვინიანიძე... ეს სია კიდევ შეიძლება, გაგრძელდეს და ვინ იცის, ამ სიიდან კლაუს ტოპმიოლერს ფარერებში რამდენი ფეხბურთელი დასჭირდება...

ასე რომ, ვნახოთ, რა ტაქტიკას აირჩევენ ქართული სანაკრებო ფეხბურთის გერმანული თავები...

ილია ნანობაშვილი

კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე

მინი-მუნდიალი თბილისში

საფეხბურთო დიპლომატია ანუ პირიქით

გახსნის მატჩში ერთმანეთის პირისპირ უკრაინა და რუსეთი დადგებიან, ამათ ისრაელთა და აზერბაიჯანელთა, ასევე ქართველთა და იტალიელთა მატჩები მოჰყვება, დღის ბოლო დაპირისპირება კი თურქეთ — ინგლისი იქნება. რით არ არის მინი-მუნდიალი? არადა, ეს ყველაფერი სადღაც გერმანიაში კი არა, ვაკეში, „ირაოზე" დღეს შეგიძლიათ იხილოთ.

პირველი შეხვედრა საღამოს შვიდ საათზე დაიწყება, გუნდები კი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებითაა დაკომპლექტებული. საქართველოს ღირსებას ტურნირის ორგანიზატორი „დიპლომატი" დაიცავს, რომლის ძირითადი პროფილიც სწორედ საელჩოების მომსახურებაა.

როგორც „დიპლომატის" წარმომადგენელმა გიგი გიგინეიშვილმა გვითხრა, „მინი-მუნდიალის" რვა მონაწილე ორ ჯგუფშია განაწილებული და ნახევარფინალში ორ-ორი საუკეთესო გავა, ფინალური შეხვედრა კი 6 ივნისს გაიმართება.

გიორგი ნოზაძე

ფკ ამერის ბავშვთა სკოლა აცხადებს 1992-1993 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ ბავშვთა მიღებას ჭაბუკთა ლიგაში სათამაშოდ.

მიღება იწარმოებს შერჩევით, ყოველდღე 15-დან 18 საათამდე; შაბათ-კვირას: 10-დან 12 საათამდე.

მისამართი: გლდანის მასივი, თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევი).

ტელ.: 899 13 51 02; 57 14 21

დენის დობროვოლსკი: ის დობროვოლსკი ტელევიზორშიც არ მინახავს
პინგ-პონგი, რაგბი და აგრესია

— ცამეტი წელია, თბილისში ვცხოვრობ, ფეხბურთის თამაშიც აქ დავიწყე, ჯერ „მთვარის გლობუსში", მერე იყო „ავაზა", „ფეშეემო", „ბერი". მერე კი „ამერს" რომ ჰყავდა გუნდი რეგიონულ ლიგაში, იქ მივედი გასინჯვაზე და ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, გუნდში ამიყვანეს და რეგიონულ ლიგაში ექვსი მატჩი ვითამაშე, 2005-06 წლების სეზონში კი „ამერის" პირველ გუნდში მოვხვდი. ჩემი დებიუტი „ზესტაფონთან" შედგა და ის შეხვედრა გლდანში 2:0 მოვიგეთ.

— აფხაზეთიდან იძულებით წამოსული ოჯახისთვის თბილისში დამკვიდრება ძნელია და კიდევ უფრო ძნელია, რომ ასეთ ვითარებაში სრულფასოვნად მოემზადო, ივარჯიშო და დაისვენო...

— სანამ „ამერში" მოვხვდებოდი, ეს ყველაფერი მართლაც ძალიან ძნელი იყო. „ამერში" რომ გადავედი, როგორც იტყვიან, ამოვისუნთქე. „ამერის" ხელმძღვანელობის მადლობელი ვარ, ამ ყველაფრის საშუალება რომ მომეცა და გუნდში ამიყვანა.

— იგორ დობროვოლსკი — რამდენად საინტერესოა ეს ფეხბურთელი დენის დობროვოლსკისთვის?

— ამ ფეხბურთელის ავანჩავანით მართლაც დავინტერესდი, მაგრამ მისი თამაში ტელევიზორშიც არ მინახავს. ისე კი, ის სულ სხვა ტიპის ფეხბურთელი იყო, ვიდრე მე.

— საყრდენი ნახევარმცველი ხარ და გსურს, რომ მხოლოდ ამ მიმართულებით გაუმჯობესებაზე

20 წლის დენის დობროვოლსკი ან დასრულებულ სეზონში მოხვდა თბილისის „ამერის" პირველ გუნდში და სეზონი თასის აღებით დააგვირგვინა. დობროვოლსკის მანამდე არავინ იცნობდა, თუმცა ეს ძალიან ცნობილი საფეხბურთო გვარია — 80-იანი წლების მეორე ნახევარში გამთამაშებელი იგორ დობროვოლსკი მოსკოვის „დინამოს" და მთელი საბჭოთა ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა... დენის დობროვოლსკი კი აფხაზეთიდან, გალიდანაა და საბჭოთა ფეხბურთის დროებას არ მოსწრებია, ევროტურნირს კი მალევე მოესწრება — ივლისში „ამერს" უეფას თასი პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში...

იმუშაო თუ მიგაჩნია, რომ შესაძლოა, განსხვავებული ტიპის ფეხბურთელად გარდაიქმნა?

— ყველა კომპონენტის გაუმჯობესებაზე უნდა ვიმუშაო, მაგრამ მე მაინც უფრო ჩამშლელი ფეხბურთელი ვარ.

— მატჩში დაახლოებით რა მანძილს ფარავ და 90 წუთიდან რამდენ წუთს დარბიხარ?

— არ ვიცი, ეს დაახლოებითაც არ გამომიანგარიშებია.

— ფიქრობ, რომ ყველაზე მეტად საყრდენი ნახევარმცველი იტვირთება?

— ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ჩემპიონატში ასეა.

— საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველად ვის მიიჩნევ?

— დინამოელ ლაშა ნოზაძეს, თუმც მის წინააღმდეგ ჯერ არ მითამაშია.

— რა არის მთავარი კომპონენტი საყრდენი ნახევარმცველისთვის?

— თამაშის წაკითხვის უნარი და, რაც შეიძლება, მეტი აგრესია.

— განვლილ სეზონში არცთუ ცოტა ყვითელი ბარათი მიიღე...

— მართლაც ბევრჯერ გამაფრთხილეს და სულ სათამაშო ეპიზოდებში — ეს არასაკმარისი გამოცდილების ბრალია.

— აფხაზეთიდან წამოსულები „ამერში" რამდენი ფეხბურთელი ხართ?

— ოთხნი — გიზო ჯელაძე, ზურაბ გვაძაბია, იური გაბისკირია და მე.

— თასის ფინალს გვერდს ვერ ავუვლით...

— მწვრთნელის მთავარი დავალება ჩემთვის თანაგუნდელების დაზღვევა იყო. „ზესტაფონს" ბრძოლისუნარიანობის და გამართლების ხარჯზე მოვუგეთ.

— საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში სტაბილურად თამაშობ — როგორ ფიქრობ, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებას არ იმსახურებ?

— განვლილ სეზონში თამაშების დაახლოებით 70 პროცენტი ვითამაშე „ამერის" ძირითადში, მაგრამ საერთაშორისო დონეზე თამაში ჩემთვის ჯერ ადრეა, თუმც, იმედია, ეს მალე მომიწევს უეფას თასზე.

— ფეხბურთის გარდა კიდევ რა გიყვარს?

— ყველანაირი სპორტი, განსაკუთრებით მაგიდის ჩოგბურთი. ბავშვობაში რაგბისაც ვთამაშობდი უბანში, რაც ფეხბურთელობისას მოლონიერებაში და მეტოქისთვის მხრის კარგად ჩადგმაში დამეხმარა.

დავით თამართქილაძე

ქართულ-ამერიკული რესტორანი
„ვერა სტეიკჰაუსი"

მსოფლიოს ჩემპიონატს
ფეხბურთში დიდ ეკრანზე
და VIP დარბაზში,
მიირთვით **მანუელის**
ექსკლუზიური კერძები და
გაატარეთ სასიამოვნო საღამო
ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: მ. კოსტავას ქ.37ა,
ვერის ბაღი, ჭადრაკის სასახლის I სართული
ტელ: 98-37-67, 893-63-03-52
www.verasteakhouse.ge

ამხანაგური მატჩები

ცხრა დღე და ცხრაჯერ მეტი პრობლემა

გერმანია 2:2 იაპონია

0:1, 0:2 ტაკაჰარა (56, 65), 1:2 კლოზე (76), შვაინშტაიგერი (80)

გერმანია: ლემანი, მერტესაკერი, მეცელდერი (ნოვოტნი 55), იანსენი, შნაიდერი, ბოროვსკი (ოდონკორი 62), ფრინგსი, ბალაკი, შვაინშტაიგერი, კლოზე, პოდოლსკი (ნოვილი 70)

იაპონია: კავაგუჩი, მიამოტო, ცუბოი, ნაკატა, კაჯი (კომანო 39), ნაკაზავა, ფუნუნიში, სანტოსი, ნაკამურა, იანაგისავა (ტამადა 80), ტაკაჰარა (ოგურო 78)

შვაინშტაიგერმა გაათანაბრა

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ გერმანიას იაპონელებთან ფრის სათამაშოდ ცნობილი ეროვნული ხასიათის გამოვლენა და ორბურთიანი ჩამორჩენის გამოსწორება მოუხდა. მიაქციეთ ყურადღება მათი გოლების წუთებს — 76 და 80, რაც ორ რამეს ნიშნავს: რაკიღა გერმანელები ასე ჩამორჩნენ და გოლის გატანა ამდენ ხანს ვერ შეძლეს, რაღაც ვერ ჰქონიათ მწყობრში და მეორე, ისინი თავიანთი ეროვნული ხასიათის წყალობით ძველებურად შორს წავლენ.

იაპონელთაგან კი გერმანული „ჰამბურგის" მოთამაშემ, ნაოჰირო ტაკაჰარამ გაიტანა ორი გოლი.

„ჩვენ მოწინააღმდეგეს ძალიან ბევრის საშუალება მივეცით — განაცხადა მატჩის შემდეგ გერმანელთა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა — აშკარაა, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სალაპარაკო, თუმცა, მეორე მხრივ, შეცდომების დაშვება დაგვიანებული არ არის. დადებითი ის იყო, რომ ძლიერი საბრძოლო სულისკვეთება გამოვავლინეთ და ორბურთიანი ჩამორჩენა გამოვასწორეთ. მომეწონა ფიზიკური მომზადებაც".

მთელი შეხვედრის განმავლობაში ორივე მხარე შეტევას ცდილობდა, თუმცა მატჩის შემდეგ, როგორც კლინსმანმა ასევე იაპონელთა ბრაზილიელმა თავკაცმა ზიკომ, ყურადღება მოსალოდნელ სამუშაოზე გაამახვილეს.

„მსოფლიოში გერმანიის ნაკრებზე ძლიერი გუნდი ბევრი ნამდვილად არ არის და ჩვენ მას მთელი ორი ტაიმის განმავლობაში შევუქმენით პრობლემები. უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით და მხოლოდ ორი გოლი გავიტანეთ" — დანანებით თქვა ზიკომ.

იმაში, რომ იაპონელების შიროლაც ბევრი გოლის ფატანა შეეძლოთ, ზიკოს გერმანელი ჟურნალისტებიც ეთანხმებიან. „ბილდი" წერს, რომ კლინსმანისებური დაცვა მეტოქეებს გულს უხარებს და საბრძოლო სულისკვეთების სიჭარბის მიუხედავად, ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანიის ნაკრებს ცხრა დღე და გაცილებით მეტი პრობლემა აქვს".

ბარემ, რაკი გაზეთებზე ჩამოვარდა სიტყვა, დავძინოთ, რომ „ფრანკფურტერ ალგემაინე" იენს ლემანით დარჩა კმაყოფილი, რაც თავისთავად იმის მტკიცებაა, რომ მეკარე რომ არა, გერმანია დამარცხდებოდა.

კლინსმანმა ლევერკუზენელ ქომაგს უძლიერესი შემადგენლობა წარუდგინა. გამოჯანმრთელებული მიხაელ ბალაკიც კი მოედანზე იყო, არადა მისთვის ლევერკუზენი ის ქალაქია, სადაც პირველად გაითქვა სახელი და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. გერმანელი გულშემატკივრის გასახარად ბალაკი ფეხნატკენ კაცს ოდნავადაც არ მოგაგონებდათ და ბევრი კომბინაცია სწორედ მან წამოიწყო.

ახლა, გერმანიის ნაკრებს პარასკევს მიონხენგლადბახში ელის ამხანაგური შეხვედრა კოლუმბიასთან.

პაპუნა კედია

დიდებული და უხეში

ჩილე 1:1 კოტ დივუარი

0:1 დინდანე (71 პ.), 1:1 სუაზო (77პ.)

კოტ დივუარი: ტიზიე, ზოკორა, კეიტა, კუასი, ბოკა, იაია ტურე (ფაე 46), ებუ (მეიტე 46), კონე (კალუ 66), რომარიკი (დინდანე 46), კოლო ტურე (დომორაუდი 46), დროგბა

კოტ დივუარმა ჩილესთან გვარიან ბრძოლაში ითამაშა 1:1, თანაც ისე, რომ საბოლოოდ ერთი კაცით ნაკლები დარჩა მოედანზე. ყვითელი ბარათების საერთო რაოდენობაც შთამბეჭდავი გამოდგა — ექვსი, რომელთაგან ხუთი აფრიკელებმა მიიღეს და მხოლოდ ერთი სამხრეთ ამერიკელებმა. და ბუნებრივია, ასეთი თამაში ერთი გაძევებით მაინც უნდა დამთავრებულიყო — დიდე ზოკორას ბოლოს მეორე ყვითელმა უწია, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად ცნობილი კოლო ტურე თავისი და თანაგუნდელების თამაშით კმაყოფილი დარჩა:

„თამაშში დიდებული მომენტებიც იყო და უხეშობაც — თქვა არსენალელმა — ჯამში ჩილელებთან სპარინგი კარგი გამოვიდა. სამხრეთ ამერიკელებმა მატჩის განმავლობაში სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს, რაც არგენტინასთან თამაშის წინ ჩვენ ნამდვილად გვჭირდებოდა".

კოტ დივუარი 72-ე წუთზე დაწინაურდა. პენალტი ფრანგული „ლანსის" მოთამაშე დინდანემ დაარტყა, მაგრამ ჩილემ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, არ დანებდა და პენალტის წილ პენალტი შეაგდო — სუაზომ შვიდ წუთში გაათანაბრა ანგარიში.

„ჩელსის" ფორვარდ დიდიე დროგბას სულ თავიდან ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მან ხოსე პინტოს კარს გადააცილა ბურთი.

ორი მომენტი ჰქონდა აფრიკელთა მეორე თავდამსხმელ არუნა კონეს, რომელიც „ეინდჰოვენის" ფეხბურთელია.

შესვენებისას კოტ დივუარელთა მწვრთნელმა ანრი მიშელმა ებუ, კოლო და იაია ტურეები შეცვალა. რომარიკის მაგივრად შესულ დინდანეს 55-ე წუთზეც ჰქონდა საგოლე მომენტი.

პაპუნა კედია

ასმეტრიანი გოლი

მარტინესმა კუშჩაკს კოლუმბიიდან გაუტანა

პოლონეთი 1:2 კოლუმბია

0:1 მურილიო (20), 0:2 ლუის მარტინესი (63), 1:2 იელენი (90)

პოლონეთი: ბორუცი (კუშჩაკი 46), იოპი, ბაკი, კაუინუვეკი, შიმკოვიაკი, კოსოვსკი (რასიაკი 46), ჟევლიაკოვი, სობოლევსკი (რადომსკი 46), ბაშჩინსკი (დუდკა 85), სმოლიარეკი (იელენი 64), ჟურავსკი (ბროჟეკი 82)

მარტინესს გოლს ულოცავენ

პოლონეთის ნაკრებისა და კოლუმბიის ამხანაგური მატჩი კარიდან კარში გატანილი გოლის გამო ღირდა. ფანტასტიკური გოლის ავტორი სამხრეთამერიკელთა გოლკიპერი ლუის მარტინესია, რომლის გასროლამაც ევროპელთა საწყალ მეკარე კუშჩაკს და „სლასკიზე" შეკრებილ 40 ათას ფანს ერთად გაუხეთქა გული.

მატჩის სანახაობრივი მხარე ამინდმა წაახდინა. თამაშის დაწყებისთანავე იქაურობას საშინელი თქეში დაატყდა თავს და „სლასკის" არენა აატალახა.

თავიდან უფრო კოლუმბიელები აქტიურობდნენ. მუნდიალზე ვერმოხვედრილ სამხრეთელთა იერიშები მე-20 წუთზე ელკინ მურილიოს გოლით დასრულდა. მურილიომ 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაუტანა არტურ ბორუცს.

არასასურველი ანგარიშის შემხედვარე, პაველ იანაშის მოწაფეები გამოეხიზლდნენ და მეტოქე დარტყმებით დაბომბეს. მიროსლავ შიმკოვიაკს ორჯერ ზედიზედ უნდა გაეტანა, თუმცა მეკარე მარტინესი გამოდგა შეუვალი. შესვენებამდე ამ ნაქებმა კაცმა კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, მაგრამ ბოლო მომენტში გადარჩა...

63-ე წუთზე ლუის მარტინესმა თავისი საჯარიმოს მისადგომებიდან მეტოქის კარის მიმართულებით ძლიერად დაარტყა და გუნდს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის A ჯგუფში მასპინძელ გერმანიასთან უნდა ითამაშოს, სამარცხვინო გოლი შეუგდო. პოლონელების კუშჩაკს ეპიზოდებში აშკარად ეძინა, დაზაფრულმა მწვრთნელმა პაველ იანაშმა კი მატჩის შემდეგ თქვა, კოშმარი განვიცადეთ და ეს აღარ უნდა განმეორდესო.

პან იანაშს აკრიტიკებდნენ, ირჟი დუდეკის ნაცვლად სუსტი კუშჩაკი რად წაიყვანეო და ნახეს კიდეც კოშმარი... ადგილობრივთაგან ერთადერთი გოლი იელენმა მატჩის მიწურულს შეაგდო. ბოლოს, პოლონეთს შეხვედრა საერთოდაც უნდა მოეგო, მაგრამ როგორ ფიქრობთ, რადოსლავ სობოლევსკის და მაცეი ჟურავსკის დარტყმები ვინ მოიგერია? რა თქმა უნდა, ლუის მარტინესმა.

ლადო ხომერიკი

ამხანაგური მატჩები

ჯერარდმა ვერ ირუნა

ინგლისი 3:1 უნგრეთი

1:0 ჯერარდი (46), 2:0 ტერი (50), 2:1 დარდაი (54), 3:1 კრაუჩი (83)

ინგლისი: რობინსონი, ეშლი კოული, კარაგერი, ფერდინანდი, ტერი (ს. კემპბელი 75), გ. ნევილი (ჰარგრივსი 45), ლამპარდი, ჯო კოული, ბექემი, ჯერარდი (კრაუჩი 64), ოუენი (უოლკოტი 64)

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ-გორან ერიკსონი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გულშემატკივარს, თავისი ფეხბურთის ტანსაცმლის საგაზაფხულო კოლექციასავით ჩვენებას კი ჰპირდებოდა, მაგრამ ჩემპიონატამდე ერთ კვირაზე ცოტა მეტიღა დარჩა და გულშემატკივარმა მაინც ვერ ნახა რასაც ელოდა — უნგრეთთან 3:1 გამარჯვებაზე მოგახსენებთ, რომელშიც შვედმა მწვრთნელმა 4-1-3-1-1 განლაგებას მიმართა, სადაც, მართალია სტივენ ჯერარდსა და ჯეიმი კარაგერს ახალი ამპლუები ჰქონდათ, მაგრამ გუნდის სახე მაინც ძველებური იყო. ინგლისელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ერთადერთი, რაც ამ შეხვედრაში გულს ახარებდა, დევიდ ბექემის მაღალი კლასის კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ. უნგრელებთან შეხვედრაში ვინ მოთვლის მერამდენედ გამოჩნდა, რომ მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ძველებურად ამწვავებს თამაშს და ფლანგიდანაც კვლავ მძაფრ პასებს აწვდის თანაგუნდელებს.

და კიდევ, იყო რეკორდი, რომელიც თეო უოლკოტმა უეინ რუნის მოუხსნა — რუნი სამი წლის წინ შეიქნა ყველაზე ახალგაზრდა ინგლიელი ვისაც ნაკრების ფორმა მოურგია, სამშაბათს კი უოლკოტმა გაასწრო. „არსენალის“ თავდამსხმელმა 17 წლისამ და 75 დღისამ გაინავარდა ეროვნული გუნდის მაისურით მოედანზე.

ცნობილი ამბებიდან დადასტურდა ისიც, რომ პიტერ კრაუჩმა შეინარჩუნა თამაშზე დაღის დამსმელი ფეხბურთელის სახელი — თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ხოლო მოედანზე შესულმა გოლი შეაგდო.

ინგლისის ნაკრები ბექემის ორი პასით ჯერარდმა და ტერიმ დააწინაურეს. ორივეჯერ ბექემმა სტანდარტული ჩააწოდა უზადოდ. განსაკუთრებით ლამაზი ჯერარდის გოლი გამოვიდა, რამაც, როგორც ამბობენ, ხალხის თვალი მოატყუა და დაუმალა ის, რომ დამხმარე ფორვარდის როლს ლივერპულელი მთლად კარგად ვერ ართმევდა თავს.

„ახალ პოზიციაზე ვთამაშობდი და ვნერვიულობდი — თქვა მატჩის შემდეგ ჯერარდმა — აშკარაა, წინ რუნისნაირად ვერასდროს ვითამაშებ, მაგრამ თავისთავად თავდამსხმელობა სასიამოვნო ყოფილა“.

„უნგრეთის ნაკრები მე რომ მეგონა იმაზე უკეთესი გუნდი ყოფილა, უპირველეს ყოვლისა ტექნიკურად“ — განაცხადა თავად ერიკსონმა და დასძინა, რომ მეტოქე ცხრა კაცით იცავდა თავს ასეთ დროს კი ლაღი, შემტევი ფეხბურთის თამაში ძალიან ძნელია და გოლიც მალე ვერ გადის.

პაპუნა კედია

ნაჭეზი ლიჰი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ რონალდო აქო — „რეალის“ თავდამსხმელმა, შვეიცარიულ „ლუცერნთან“ შეხვედრაში გარდა იმისა, რომ ორი გოლი გაიტანა, ფიზიკურადაც ჩინებულად წარმოაჩინა თავი. შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის შემყურე ბრაზილიელ ქომაგებსა და ჟურნალისტებს რონალდოს ფიზიკური ფორმისა ეეჭვებოდათ. მართლაც ძნელია ლიპიანი კაცის იმედად ყოფნა და ამიტომ ეს თემა პარეირასთვის მეტად ნაცნობი გახლდათ.

„რონალდოს ბოლო 52 დღის განმავლობაში ფეხბურთი არ ეთამაშა და პირდაპირ ორი გოლი გაიტანა მოკლედ, ის ზუსტად ისეთია, როგორიც გვჭირდება, გოლები გააქვს და ასეთი ფეხბურთელი, ბუნებრივია, ბრაზილიის ნაკრების წევრი უნდა იყოს“.



შემდეგ პარეირამ დასძინა, რომ რონალდოს ყოველ ვარჯიშზე გამართულ ორმხრივ შეხვედრაში სულ მცირე ერთი გოლი მაინც გაჰქონდა და იმედი გამოთქვა, რომ 28 წლის ვარსკვლავი მსოფლიოს ჩემპიონატზეც ასევე გააგრძელებს.

ასე და ამგვარად, 30 ათასი გულშემატკივრის წინაშე ბრაზილიის ნაკრებმა „ლუცერნი“ დაშალა 8:0. რონალდოს გარდა გოლები გაიტანეს: ორი ადრიანომ, თითო რობინიომ, ჟუნინიო პერნამბუკანომ, კაკამ და ლუსიომ.

„ამ თამაშის აზრი ის გახლდათ, რომ ჩვენს ძირითად შემადგენლობას ბურთი გავაგორებინეთ. ბიჭებს ხომ ოქტომბრის მერე არ უთამაშიათ ერთად და ვფიქრობ, სწორი გათვლა გამოგვივიდა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ შეკრების მერვე დღეზე ვრთ მხოლოდ და მხოლოდ გიგანტური ნაბიჯებით წინსვლას კი აზრი არ აქვს, წამგებიანია. „ლუცერნი“ ტექნიკური გუნდი არ გახლდათ, მაგრამ მის ფონზე ბრაზილიის ნაკრების ძალა მაინც გამოჩნდა“.

პარეირამ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა მოედნიდან გაყვანა თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე დაიწყო.

პაპუნა კედია

ჩეხეთის გულშემატკივარი მოედანზე შევარდა

პრეული ჩეხეთი პობორსკიმ დაალაგა

იაბლონეცში მსოფლიოს ჩემპიონატის ორმა მონაწილემ იბურთავა, ჩეხეთმა და კოსტა რიკამ. მასპინძლებს ბევრი წამყვანი მოთამაშე აკლდათ — ტომაშ გალაშეკი, ვლადიმირ შმიცერი, ტომაშ როსიცკი, პაველ ნედვედი, ტომაშ უიფალუში და პეტრ ჩეხი. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ კარელ ბრიუკნერის შეგირდებს საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან გვარიანად გაუჭირდათ, თუმცა უპირატესობა მაინც მათ მხარეს იყო.

ყველაფერი კარელ პობორსკის შესვლის მერე შეიცვალა. ეროვნულ ნაკრებში ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა, რომელმაც ჩეხეთის მაისურით 115 მატჩი ჩაატარა, თავსი გუნდის თამაში აშკარად გაახალისა და შეტევები უფრო მრავალფეროვანი გახადა.

ჩეხების კაპიტანმა იან კოლერმა მუხლის ოპერაციისა და ხანგრძლივი პაუზის მერე ნაკრებში პირველად ითამაშა. საუკეთესო შანსიც სწორედ მას ჰქონდა, მაგრამ კოსტარიკელთა მცველმა მაიკლ უგანამ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს სწორედ კოლერის ნაცვლად შესულმა ვრასტისლავ ლოკვენცმა შეაგდო. მან ლიბორ სიონკოს ჩაწოდებულს თავი შეაგება.

შაბათს ჩეხები მუნდიალის კიდევ ერთ მონაწილეს, ტრინიდადს გაეჯიბრებიან ამხანაგურად და მთელ ყურადღებას აშშ-სთან 12 ივნისს გასმართ მატჩზე გადაიტანენ. კოსტა რიკა კი მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველივე დღიდან ჩაებმება. ჩრდილოამერიკელები 9 ივნისს გერმანიასთან გახსნით მატჩში ითამაშებენ.

კოკი კანდელაკი

ამხანაგური მატჩები

მესისთვის სამი სულ ერთია
უკანახაზელი ოროსნები

არგენტინა 2:0 ანგოლა

1:0 მაქსი როდრიგესი (28), 2:0 სორინი (36)

არგენტინა: აბონდანსიერი, ბურდისო (კუფრე 84), აიალა, ჰეინცე (მილიტო 63), სორინი, მაქსი როდრიგესი (აიმარი 76), მასკერანო, კამბიასო (ტევესი 76), რიკელმე (სკალონი 64), სავიოლა (მესი 64), კრესპო

ანგოლა: ჟოაო რიკარდუ, უამბა, კალი, მაკანგა, მატეუში (მანტორაში 49), ედსონი (კალანგა 68), აბრეუ (დელგადუ 79), ლოკო, ფიგეირედუ (ბუენგო 79), აკვა (მილიო 68), მენდოსა (ბუენგუ 79)

ხოსე პეკერმანის არგენტინამ მუნდიალისწინა ბოლო მოსამზადებელ მატჩში ანგოლის ნაკრები დაამარცხა. მატჩი, რომელიც რობერტო ფაბიან აიალასთვის ნაკრების შემადგენლობაში რიგით მეასე გახლდათ, „ალბისელესტემ“ მაქსი როდრიგესის და ხუან პაბლო სორინის გოლების წყალობით 2:0 მოიგო.

გაუჩოები აფრიკელებზე უფრო სწრაფები გამოდგნენ და კაპიტანმა სორინმა პირველ ტაიმში ჯერ „ატლეტიკოს“ მაქსის გაატანინა, ხოლო შემდეგ თავადვე შეაგდო.

არგენტინას მუნდიალზე პირველი თამაში კოტ დივუართან უწევს. ამიტომაც შეარჩიეს პატაგონიელებმა აფრიკული ანგოლა სპარინგ-პარტნიორად. თუმც კოტ დივუარს დაცვაც ანგოლაზე უკეთესი ჰყავს და თავდასხმაში ხომ დიდიე დროგბას ათამაშებენ.

ანგოლა 11 ივნისს პორტუგალიას ეთამაშება. ამ გუნდის ყველაზე სუსტი წერტილი დაცვაა. რომ არა მეკარე რიკარდუს კარგი თამაში, არგენტინელები სალერნოში ასტრონომიული ანგარიშით მოიგებდნენ.

შესანიშნავად იბურთავა ლეო მესიმ. „ბარსელონას“ ფენომენი ტრავმის გამო მოედანზე 7 მარტის მერე ვერ გამოდიოდა, მაგრამ როცა გამოვიდა, კვლავ თავისი ბრწყინვალება აჩვენა. მესიმ 75-ე წუთზე მეტოქის სამი მცველი მოატყუა და საგოლედ გაიყვანა მაქსი როდრიგესი, რომელმაც ზედა ძელს დააჭედა ბურთი.

აღსანიშნავია, რომ ხოსე პეკერმანმა თამაში გუნდის ლიდერზე, ხუან რომან რიკელმეზე არ ააწყო. ეტყობა, გაითვალისწინა, რომ რიკელმეს მუნდიალზე პერსონალური მცველები ამოსუნთქვის საშუალებას არ მისცემენ და ანგოლასთან საცდელ თამაშში „ალბისელესტე“ განსხვავებული სტილით აბურთავა.

წუნი არ დაედებოდათ პაბლო აიმარს და კარლოს ტევესს. ისინი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდნენ და მესისთან ერთად აფრიკელ მცველებს ჯოჯოხეთი მოუწყვეს.

ხოსე პეკერმანმა კი თავისი შეგირდებიდან ყველაზე ცუდი ნიშნები უკანახაზელებს და მეკარე აბონდანსიერის დაუწერა — ზომაზე მეტად ისინი სცოდავდნენ. არგენტინის ნაკრები გუშინ ნიურნბერგში გაემგზავრა, სადაც მუნდიალის განმავლობაში დაბანაკდება.

ლადო ხომერიკი

უკრაინა ბელარუსია

ტუნისი 3:0 ბელარუსი

1:0 ნამუში (35ჯ), 2:0 დუშ სანტუში (48), 3:0 ჟომაა (90)

ტუნისი: ბუმნიჯელი, ჯაზირი (ესედირი 73), მნარი, ტრაბელსი, ნაფტი (ბუაზიზი 46), ჩედლი, ჯაიდი, დუშ სანტუში (ჟომაა 73), აიარი, ნამუში, ჰაგუი

გაძევება: ჰაგუი (88)

ტუნისის ნაკრებმა ამხანაგურ თამაშში ბელარუსის ეროვნული გუნდი 3:0 დაამარცხა. შეხვედრა LG-ს თასზე ტუნისში გაიმართა. ტურნირში, ხსენებული გუნდების გარდა ურუგვაისა და ლიბიის ნაკრებებიც მონაწილეობდენ. რეგლამენტის თანახმად, ამ გათამაშებაში თუ მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, მეტოქეები პირდაპირ პენალტებს ურტყამენ, ხოლო მატჩის მსვლელობისას თითოეულ გუნდს 6 ცვლილების განხორციელება შეუძლია.

ტუნისელთათვის, ანუ როგორც მათ უწოდებენ „კართაგენელი არწივებისთვის“, LG-ს ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატის წინა მოსამზადებელი რაუნდია. „ტურნირმა სწორედ დროზე მოგვისწრო. იმედია, ორ დარჩენილ თამაშში ჩემი ფეხბურთელები თავიანთ ძალას კვლავ დამტკიცებენ. ამჟამად შეგირდების თამაშით კმაყოფილი ვარ“ — ამბობდა სლავებთან მატჩის შემდეგ აფრიკელთა მწვრთნელი როჟე ლემერი. როჟეს მოწაფეები მუნდიალზე პირველ მატჩს 14 ივნისს გამართავენ საუდის არაბეთთან და ეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ტუნისის რიგით მეოთხე თავგადასავალი იქნება.

ბელარუსთაგან შეხვედრას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დააკლდა. სხვადასხვა მიზეზების გამო ტუნისთან ჯახი ვიტალი კუტუზოვმა, მაქსიმ რომაშჩენკომ, ვლადიმირ გაევმა, ვიტალი ბულიგამ და ოლეგ სტრახანოვიჩმა გამოტოვეს. ასე შესუსტებულმა სლავებმა „არწივებს“ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ჰამედ ნამუშმა, ფრანსელინო დუშ სანტუშმა და ისაამ ჟომაამაც გაახარეს გოლებით ადგილობრივი ფანობა.

ლემერმა ისიც თქვა, მუნდიალზე ჯგუფში უკრაინასთან ომი გვიწევს, ბელარუსი კი ბლოხინის ნაკრებს წაგავს და ახლა უკვე ვიცით, მეორე პოსტსაბჭოურ ქვეყანას რანაირად უნდა ვეთამაშოთო.

ლადო ხომერიკი

ვალენსიამ ფლორესი გააგრძელა

„ვალენსიას“ მწვრთნელმა კიკე სანჩეს ფლორესმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ახალი შეთანხმების თანახმად, მადრიდელი მწვრთნელი „მესტალიას“ ბიჭებს 2008 წლის 30 ივნისამდე გაწვრთნის.

კიკეს ვალენსიაში დარჩენა, საჩემპიონთალიგო ადგილის მოპოვებისთვის, ძველი კონტრაქტით ავტომატურად ერთი სეზონით იყო გარანტირებული, თუმცა „ღამურებმა“ მისი დატოვება ორი სეზონით მოინდომეს.

მადრიდელი მწვრთნელი „ვალენსიაში“ „ხეტაფეედან“ მივიდა და „მესტალიაზე“ თავის პირველსავე სეზონში პრიმერას მესამე ადგილი მოიპოვა. „მოხარული ვარ, რომ „ვალენსიასთან“ თანამშრომლობას კიდევ ორი სეზონით გავაგრძელებ. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს და რამდენიმე ხანში გულშემატკივრებს ჯილდოებით გავახარებთ“ — აღნიშნა კიკემ „ასთან“ საუბარში.

ლადო ხომერიკი

შაყირი ტელეფონით
ვისთან წააგე, დუაიტ?

„ასტონ ვილას“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მეგოლე დუაიტ იორკი ახლა მობერებულა და ავსტრალიურ „სიდნეიში“ თამაშობს, თან ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების ლიდერია: ნახევარდაცვის ბურჯიც თავად არის და მეგოლეც, ხოლო ტრინიდადელები მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე არიან და ჯგუფში ინგლისს უნდა ეთამაშონ.

კარიბელთა წარმატება საკვირველი არ არის: მათი მწვრთნელი განთქმული ჰოლანდიელი ლეო ბენჰაკერი გახლავთ. ჰოდა, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ბენჰაკერის გუნდი ინგლისშია და ამხანაგურად თამაშობს პატარა კლუბებთან. რამდენიმე დღის წინ ტრინიდადელებმა უელსის ახალგაზრდულ ნაკრებთან 1:2 წააგო.

„ეს არაფერი — ამბობს იორკი — ჩვენ ექსპერიმენტული შემადგენლობით ვიყავით. ბოლოს და ბოლოს მოსამზადებელი თამაშია. რიო ფერდინანდისგან და რუნისგან საღადაო მესიჯები მივიღე, ვისთან წაგეთ, ერთი შეგვახსენეო. მე კიდე შევახსენებ, რომ ინგლისთან სხვანაირი თამაში იქნება და გვარიანად გავაწვალებთ. ასე რომ, ფეხს ფეხზე ნუ გადაიდებენ“.

ინგლისი 15 ივნისს, ნიურნბერგში ეთამაშება ტრინიდადს, ლეო ბენჰაკერმა კი განაცხადა: „მას შემდეგ, რაც ნაკრები ფინალურ ეტაპზე გავიდა, ქვეყანაში კარნავალი არ შეწყვეტილა. აქ მუშაობას რომ ვიწყებდი, ვიცოდი, აქაურად უნდა მეგრძნო თავი და ასეც ვიქცევი. ამ ხალისიან ხალხს მხარს ვუჭერ, მაგრამ მე ჰოლანდიელი მწვრთნელი ვარ და საქმეს უნდა მივხედო. ჩვენ ხომ საუკეთესოები ვართ მსოფლიოში. მსოფლიოს ამ ჩემპიონატზე ოთხი ჰოლანდიელი მთავარი მწვრთნელი და შვიდი ასისტენტი იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ“.

„რეალისა“ და „აიაქსის“ ყოფილმა თავკაცმა ტრინიდადელთა პერსპექტივებზე თქვა: „ჩვენ ფეხბურთს ვითამაშებთ, დანარჩენი კი გამოჩნდება. ვფიქრობ, კარგად მოვემზადეთ“.

ირაკლი გამყრელიძე
ლონდონიდან

ვერდერმა ერთი ნოტი გაყიდა

გერმანულ „ვერდერსა“ და „დორტმუნდს“ შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებები ნელსონ ვალდესის ტრანსფერის თაობაზე როგორც იქნა, დასრულდა. მხარეებმა შეთანხმება შეძლეს. 22 წლის პარაგვაელი თავდამსხმელი მომავალი სეზონიდან „დორტმუნდის“ მაისურას მოირგებს. მან თავის ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. არაოფიციალური ინფორმაციით, „მუსიკოსებმა“ 4,7 მილიონი ევრო მიიღეს.

ვალდესმა „ვერდერის“ რიგებში 80 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა. თუმცა იგი მიროსლავ კლოზესა და ივან კლასნიჩის ჩრდილში იყო, რის გამოც ძირითადად შეცვლებზე შედიოდა და უკმაყოფილება არასოდეს დაუმალავს. საბოლოოდ პარაგვაელმა წასვლა გადაწყვიტა და კლუბსაც ხელი არ შეუშლია.

„ძალიან გვიხარია, რომ „ვერდერთან“ შეთანხმება შევძელით. ნელსონი ყოველთვის ჩვენთვის სასურველ ფეხბურთელთა სიის სათავეში იყო. იგი ჩინებული მოთამაშეა. გუნდის გასაძლიერებლად სწორედ ასეთი თავდამსხმელი გვჭირდებოდა. ვალდესი მეტოქის საჯარიმოსთან ყოველთვის უაღრესად სახიფათოა“ — თქვა „დორტმუნდის“ თავმჯდომარემ ჰანს-იოახიმ ვაცკემ.

კოკი კანდელაკი

ელკანი ცხენის კუდს ეჭაჩება

იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა რობერტო ბაჯო შესაძლოა, ტურინის „იუვენტუსში“ დაბრუნდეს. „გაძეტა დელო სპორტისა“ და „ტუტო სპორტის“ ცნობით, „ცხენისკუდას“ „ბებერი ქალბატონის“ ვიცე-პრეზიდენტის პოსტს სთავაზობენ. მოგეხსენებათ, „იუვედან“ ცნობილი სამეულის წასვლის მერე კლუბი მათი შემცვლელების მოყვანაზე ზრუნავს და ცდილობს, გუნდის ყოფილ ვარსკვლავებს დაუკავშირდეს, რომლებმაც „ბიანკონერის“ ისტორია და ტრადიციები კარგად იციან.

გავრცელებული ცნობით, ბაჯოს, ჯანი ანიელის შვილიშვილი და „იუვენტუსის“ მფლობელი ჯონ ელკანი დაუკავშირდა და რამდენჯერმე ესაუბრა. მოლაპარაკებები მას მერეც გაგრძელდება, რაც რობი არგენტინიდან დაბრუნდება, სადაც იგი 20 მაისს დასასვენებლად და სანადიროდ გაემგზავრა.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთიდან ორი წლის წინ წასულ ბაჯოს სამსახურს ბევრი სთავაზობდა, მაგრამ „ცხენისკუდა“ ჯერჯერობით არც ერთ წინადადებას არ დათანხმებია. „ინტერის“ პატრონი მასიმო მორატიც აპირებს, ბაჯოს ერთერთი მთავარი პოსტი შესთავაზოს.

გიორგი კაკაბაძე

გამაგებინეთ, A-ში ვარ, თუ B-ში?

ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა დარწმუნებული აღარ არის, რომ მომავალ სეზონშიც „იუვენტუსში“ ითამაშებს. მას ტურინელთა გარშემო ატეხილი სკანდალი და სერია B-ში დაქვეითების პერსპექტივა აშინებს. ვიეირა პრემიერლიგაში დაბრუნებაზეც ფიქრობს.

„ეს აურზაური ძალიან მაღელვებს და მინდა, გავიგო რა ხდება. ასევე არიან განწყობილნი სხვა ფეხბურთელებიც. მე და ჩემს თანამემამულეებს — ლილიან ტურამსა და დავიდ ტრეზეგეს — იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი მალე გაირკვევა“ — განაცხადა ლონდონის „არსენალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

აღსანიშნავია, რომ ემერსონმა, ჯანლუკა ძამბროტამ და ადრიან მუტუმ უკვე თქვეს, თუ „იუვენტუსს“ სერია B-ში უკრავენ თავს, წავალთო. პაველ ნედვედმა განაცხადა, კარიერას დავასრულებო. ამ შემთხვევაში, ალბათ, წავლენ ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ჯანლუიჯი ბუფონი, დავიდ ტრეზეგე და კიდევ ბევრი ფეხბურთელი. ჯერჯერობით მხოლოდ სამმა ტურინელმა აღნიშნა, ნებისმიერ შემთხვევაში გუნდში დავრჩებიო — ალესანდრო დელ პიერომ, ფაბიო კანავარომ და „ბებერი ქალბატონის“ ახალწვეულმა მარკო მარკიონიმ.

მატჩების ჩაწყობის შესახებ სკანდალის გამოძიება კი გრძელდება და ახალ-ახალი დეტალებიც ჩნდება. ამჯერად უფრო დიდ შარში რომის „ლაციო“ გაეხვა. დედაქალაქელები ისედაც ეჭვმიტანილნი იყვნენ მაქინაციებში, ახლა კი მათი საქმეებით ფინანსური პოლიცია დაინტერესდა. ამბობენ, ამ მხრივ „ლაციოს“ ყველაფერი მთლად სუფთად არ აქვსო.

გიორგი კაკაბაძე



სისე ულიეს ლიონში დაეწევა

ინგლისური „ლივერპულის“ ფორვარდი ჯიბრილ სისე „ლიონში“ გადავა. 24 წლის ფეხბურთელს სამშობლოში დაბრუნება და საფრანგეთის ჩემპიონის რიგებში ჩარიცხვა უნდა. წინაღმდეგი არც პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლაა. სავარაუდოდ, მხარეებს შორის მოლაპარაკება რამდენიმე დღეში დაიწყება.

„როდესაც ფეხბურთელს, თანაც სისეს დარს, „ლიონში“ გადმოსვლა უნდა, ეს ძალიან სასიხარულოა. ყველანაირად ვეცდები, ტრანსფერი შედგეს“ — თქვა ოლამ.

„არასოდეს მიმუშავია ჟერარ ულიესთან ერთად და ძალიან მინდა, ეს მოხდეს. მას დიდ პატივს ვცემ. როგორც იცით, „ლივერპულში“ სწორედ ულიემ გადამიყვანა და არა ბენიტესმა, მაგრამ კლუბი მალევე დატოვა“ — აღნიშნა სისემ.

„ლივერპულის“ დატოვება უნდა სისეს თანამემამულე ბრუნო შერუსაც. იგი ასევე ვერ დამკვიდრდა მერსისაიდელთა შემადგენლობაში. 28 წლის ნახევარმცველმა გასული სეზონი „ბორდოში“ იჯარის წესით ითამაშა და სამშობლოში დარჩენა უნდა, მაგრამ ჟირონდელები მისი კონტრაქტის ბოლომდე გამოსასყიდად 1 მილიონი ევროს გადახდას უარობენ, თუმც მოლაპარაკება გრძელდება.

დაბოლოს, ისევ „ლიონზე“. კლუბმა კარიმ ბენზემასთან ახალი კონტრაქტის პირობები შეათანხმა და თავდამსხმელი „ჟერლანზე“ 2010 წლამდე დარჩება.

კოკი კანდელაკი

რომას რაული

მადრიდის „რეალის“ სიმბოლო რაულ გონსალეს ბლანკო შესაძლოა, „რომაში“ გადავიდეს. „რეალისა“ და ფიფას იტალიელმა აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ არ გამორიცხა ეს ტრანსფერი.

„რაულის შესახებ უკვე ველაპარაკე „რომას“ სპორტულ დირექტორ დანიელე პრადესა და გუნდის მთავარ მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის. ასე რომ, ამ ტრანსფერს ვერ გამოვრიცხავ. შესაძლოა, მალე მოლაპარაკებაც დაიწყოს“ — თქვა ბრონძეტიმ.

დიდი ხანია, რაული ძველებურად ველარ თამაშობს და „რეალის“ სიმბოლოდ კი ითვლება, მაგრამ სათადარიგოთა სკამსაც მიეჩვია. თანაც მადრიდელთა რიგებში დიდი ცვლილებები იგეგმება და ვინ იცის, იქნებ „სამეფო კლუბის“ კაპიტანმა მართლაც გადაწყვიტოს გუნდის გამოცვლა.

ერნესტო ბრონძეტი: „დღესდღეობით ყველაფერი თეორიის დონეზეა, მაგრამ შეიძლება, სერიოზული სახეც მიიღოს. სპალეტის ყოველთვის სურდა რაულის შეძენა. თანაც „რეალსა“ და „რომას“ ჩინებული ურთიერთობა აქვთ. გარდა ამისა, რაული და მისი მეუღლე რომს მსოფლიოს საუკეთესო ქალაქად თვლიან და იქაურობით აღფრთოვანებულები არიან. რაული ჯერ კიდევ საკმარისად ახალგაზრდაა. მას შეუძლია, თავისი კარიერა უფრო გაამდიდროს და შესაძლებლობები მეტად გამოავლინოს“.

გიორგი კაკაბაძე

პროექტმა ბაჭია შეიწირა

არგენტინელი ხავიერ სავიოლა კარიერას ესპანურ „სევილიაში“ აღარ გააგრძელებს. „მე გუნდის თავკაცებს განვუცხადე, რომ ხავიერ სავიოლა ბარსელონაში დაბრუნდება და თავის სამომავლო გუნდის გარკვევას იქ დაელოდება. ხუანდე რამოსი, „სევილიას“ მწვრთნელი, ხავიერს თავისი სამომავლო პროექტისთვის არ ითვალისწინებს, ამიტომ აღარც ფეხბურთელს სურს „სანჩეს პისხუანზე“ ბურთაობის გაგრძელება“ — უთხრა „მარკას“ ჟურნალისტს „ბაჭიას“ აგენტმა ალფრედო კაბერა ბრისუელამ.

სავიოლას კონტრაქტით „ბარსელონასთან“ კიდევ ერთი წელი აკავშირებს და „სევილიაშიც“ კატალონიურმა გრანდმა გააგზავნა იჯარით. ახლა პატაგონიელის შეძენით რამდენიმე ესპანური კლუბია დაინტერესებული — მადრიდის „ატლეტიკო“, ესპანიოლი“ და „ვილიარეალი“. შეიძლება, „ბაჭიას“ბედი სწორედ „ვილიას“ დაუკავშირდეს — „ბარსელონა“ „ყვითლებისგან“ დიეგო ფორლანს ყიდულობს და სატრანსფერო ოპერაციაში, ალბა, სავიოლასაც ჩართავენ.

ლადო ხომერიკი

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან. G ჯგუფი: საფრანგეთი, შვეიცარია, ს. კორეა, ტოგო

საფრანგეთი

1930 ურუგვაი

ჯგუფური ეტაპი
არგენტინა 1:0 საფრანგეთი
საფრანგეთი 4:1 მექსიკა
ჩილე 1:0 საფრანგეთი

1934 იტალია

მერვედფინალი
ავსტრია 3:2 საფრანგეთი

1938 საფრანგეთი

მერვედფინალი
საფრანგეთი 3:1 ბელგია
მეოთხედფინალი
იტალია 3:1 საფრანგეთი

1954 შვეიცარია

ჯგუფური ეტაპი
იუგოსლავია 1:0 საფრანგეთი
საფრანგეთი 3:2 მექსიკა

1958 შვედეთი

ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი 7:3 პარაგვაი
იუგოსლავია 3:2 საფრანგეთი
საფრანგეთი 2:1 შოტლანდია
მეოთხედფინალი
საფრანგეთი 4:0 ჩრ. ირლანდია
ნახევარფინალი
ბრაზილია 4:2 საფრანგეთი
მესამე ადგილისთვის
საფრანგეთი 6:3 გფრ

1966 ინგლისი

ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი 1:1 მექსიკა
ურუგვაი 2:1 საფრანგეთი
ინგლისი 2:0 საფრანგეთი

1978 არგენტინა

ჯგუფური ეტაპი
იტალია 2:1 საფრანგეთი
არგენტინა 2:1 საფრანგეთი
საფრანგეთი 3:1 უნგრეთი

1982 ესპანეთი

I ჯგუფური ეტაპი
ინგლისი 3:1 საფრანგეთი
საფრანგეთი 4:1 ქუვეითი
საფრანგეთი 1:1 ჩეხოსლოვაკია
II ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი 1:0 ავსტრია
საფრანგეთი 4:1 ჩრ. ირლანდია
ნახევარფინალი
გფრ 3:3(პენ.5:4) საფრანგეთი
მესამე ადგილისთვის
პოლონეთი 3:2 საფრანგეთი

1986 მექსიკა

ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი 1:0 კანადა
საფრანგეთი 3:0 უნგრეთი
სსრკ 1:1 საფრანგეთი
მერვედფინალი
საფრანგეთი 2:0 იტალია
მეოთხედფინალი
საფრანგეთი 1:1(პენ.4:3) ბრაზილია
ნახევარფინალი
გფრ 2:0 საფრანგეთი
მესამე ადგილისთვის
საფრანგეთი 4:2 ბელგია

1998 წელი. სათრანგეთი — ბრაზილია 3:0

1998 საფრანგეთი

ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი 3:0 ს. აფრიკა
საფრანგეთი 2:1 დანია
საფრანგეთი 4:0 საუდეთი
მერვედფინალი
საფრანგეთი 1:0 პარაგვაი
მეოთხედფინალი
იტალია 0:0(პენ.3:4) საფრანგეთი
ნახევარფინალი
საფრანგეთი 2:1 ხორვატია
ფინალი
საფრანგეთი 3:0 ბრაზილია

2002 კორეა-იაპონია

ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი 0:1 სენეგალი
საფრანგეთი 0:2 დანია
საფრანგეთი 0:0 ურუგვაი

შვეიცარია

1934 იტალია

მერვედფინალი
შვეიცარია 3:2 ჰოლანდია
მეოთხედფინალი
ჩეხოსლოვაკია 3:2 შვეიცარია

1938 საფრანგეთი

მერვედფინალი
შვეიცარია 4:2 გერმანია
მეოთხედფინალი
უნგრეთი 2:0 შვეიცარია

1950 ბრაზილია

ჯგუფური ეტაპი
იუგოსლავია 3:0 შვეიცარია
ბრაზილია 2:2 შვეიცარია
შვეიცარია 2:1 მექსიკა

1986 წელი. პლატინიმ ბრაზილიას გაუტანა

1954 შვეიცარია

ჯგუფური ეტაპი
შვეიცარია 2:1 იტალია
ინგლისი 2:0 შვეიცარია
მეოთხედფინალი
ავსტრია 7:5 შვეიცარია

1962 ჩილე

ჯგუფური ეტაპი
ჩილე 3:1 შვეიცარია
გფრ 2:1 შვეიცარია
იტალია 3:0 შვეიცარია

1966 ინგლისი

ჯგუფური ეტაპი
გფრ 5:0 შვეიცარია
არგენტინა 2:0 შვეიცარია
ესპანეთი 2:1 შვეიცარია

1994 აშშ

ჯგუფური ეტაპი
აშშ 1:1 შვეიცარია
რუმინეთი 1:4 შვეიცარია
შვეიცარია 0:2 კოლუმბია
მერვედფინალი
ესპანეთი 3:0 შვეიცარია

სამხრეთ კორეა

1954 შვეიცარია

ჯგუფური ეტაპი
უნგრეთი 9:0 კორეა
თურქეთი 7:1 კორეა

1986 მექსიკა

ჯგუფური ეტაპი
ბულგარეთი 1:1 კორეა
არგენტინა 3:1 კორეა
იტალია 3:2 კორეა

1990 იტალია

ჯგუფური ეტაპი
ბელგია 2:0 კორეა
ესპანეთი 3:1 კორეა
ურუგვაი 1:0 კორეა

1994 აშშ

ჯგუფური ეტაპი
კორეა 0:0 ბოლივია
ესპანეთი 2:2 კორეა
გერმანია 3:2 კორეა

1998 საფრანგეთი

ჯგუფური ეტაპი
კორეა 1:3 მექსიკა
ჰოლანდია 5:0 კორეა
ბელგია 1:1 კორეა

2002 კორეა-იაპონია

ჯგუფური ეტაპი
კორეა 2:0 პოლონეთი
კორეა 1:1 აშშ
პორტუგალია 0:1 კორეა
მერვედფინალი
კორეა 2:1 იტალია
მეოთხედფინალი
ესპანეთი 0:0(პენ.3:5) კორეა
ნახევარფინალი
კორეა 0:1 გერმანია

ტოგო

დებიუტანტი

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ბელგია. II დივიზიონი						
		1 ივნისი						
21:00	14	ლიერსი-ლომელი	1.70	3.30	4.10	1.12	1.20	1.82
21:00	15	ვიგორი-გეელი	2.25	3.20	2.65	1.32	1.21	1.44
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		5 ივნისი						
20:00	37	ჰამარი-მოლდე	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
20:00	38	ლინი-ვიკინგი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
20:00	39	ოდგრენლანდგრენიტ	1.95	3.40	3.40	1.23	1.23	1.70
20:00	40	სანდეფიორდი-სტარტი	2.60	3.30	2.50	1.45	1.27	1.42
20:00	41	ტრომსიო-ლილესტრიომი	2.75	3.30	2.35	1.50	1.26	1.37
22:00	42	რუსენბორგი-ბრანი	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		4 ივნისი						
21:00	45	ალესუნდი-სტრომგოდსეტი	1.95	3.40	3.50	1.23	1.25	1.72
		5 ივნისი						
20:00	46	ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი	2.00	3.40	3.30	1.25	1.24	1.67
20:00	47	ლოვ ჰამი-ჰიოდი	1.65	3.60	4.30	1.13	1.19	1.95
20:00	48	მოსი-ფოლო	1.45	4.20	5.50	1.07	1.14	2.38
20:00	49	პორსგრუნლანბოლოგლიტ	3.10	3.50	1.95	1.64	1.19	1.25
20:00	50	სოგნდალი-მანგლერუდი	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
20:00	51	სპარტა ს-ჰიონეფოსი	2.45	3.40	2.50	1.42	1.23	1.44
20:00	52	ტრომსდალენი-ბრინი	2.85	3.50	2.10	1.57	1.20	1.31
		შვედეთი. სუპერეტა						
		1 ივნისი						
21:00	54	ატვიდაბერგი-ვესბი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
21:00	55	დეგერფორსი-იორებრო	3.45	3.30	1.90	1.68	1.22	1.20
21:00	56	ფალკენბერგი-ლიუნგსკილე	2.65	3.30	2.30	1.46	1.23	1.35
21:00	57	ლანდსკრონა-ტრელებორგი	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
21:00	58	მიალბი-ქვიდინგი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
21:00	59	სუნდსვალი-ნორჩიოპინგი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
21:00	60	უმეა-ბრომაპოიკარნა	2.60	3.30	2.30	1.45	1.22	1.35
		ფინეთი						
		1 ივნისი						
19:30	68	ჰაკა-ლაჰტი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:30	69	კუოპიო-ჰონკა	2.85	3.10	2.25	1.48	1.25	1.30
19:30	70	მარიეჰამნი-ინტერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:30	71	მიუპა-იარო	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
19:30	72	ტურკუ-კტპ	1.90	3.30	3.55	1.20	1.23	1.71
19:30	73	ვპს-ჰიკ	3.60	3.30	1.85	1.72	1.22	1.18
		ბრაზილია						
		1 ივნისი						
23:45	100	ბოტაფოგო-ფიგეირესე	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
23:45	101	კორინთიანსი-გოიასი	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
23:45	102	პარანა-სანტა კრუსი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
		ამხანაგური მატჩები						
		1 ივნისი						
21:00	139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
22:00	140	ჰოლანდია-მექსიკა	1.65	3.40	4.90	1.11	1.23	2.00
		ეჩ.(21) პორტუგალია						
		1 ივნისი						
20:00	330	საფრანგეთი(21)-ჰოლანდია(21)	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
22:30	331	უკრაინა(21)-სერბეთი(21)	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	1.60	2.00
12140	ჰოლანდია-მექსიკა	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	1.70	1.90
13140	ჰოლანდია-მექსიკა	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესრული ფასდებულად ჩაითვლება)

14139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	1.70	2.10
14140	ჰოლანდია-მექსიკა	1.25	2.40

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15139	ნორვეგია-სამხ.კორეა	3.00	2.80	2.00
15140	ჰოლანდია-მექსიკა	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	1.45	2.30
16140	ჰოლანდია-მექსიკა	1.25	3.20

გოლი:ფქვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფქვილად)

17139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	1.85	1.95
17140	ჰოლანდია-მექსიკა	1.85	1.95

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	2.55	1.90	3.45	1.08	1.46	1.22
10140	ჰოლანდია-მექსიკა	2.05	2.00	5.40	1.01	1.48	1.45

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11139	ნორვეგია-სამხრეთ კორეა	3.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11140	ჰოლანდია-მექსიკა	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00

			1	2
		ჩოგბურთი.კაცები.Roland Garros		
		1 ივნისი		
13:00	343	ალმაგრო-ჯ ბლეიკი	1.30	2.90
13:00	344	ნადალი-კ კიმი	1.01	8.00
13:00	353	ბაგდატისი-ბენეტო	1.25	3.00
13:00	354	ვერდასკო-მონაკო	1.30	3.00
13:00	355	ხრბატი-კარლოვიჩი	1.70	1.90
13:00	356	ლიუბიჩიჩი-ო ერნანდესი	1.07	5.50
13:00	357	მონფილსი-ლ ნორმანი	1.20	4.00
13:00	358	ო როხუსი-ვანეკი	1.15	4.00
13:00	359	ხაასი-ვასკე	1.20	4.00
13:00	360	შტეპანეკი-სანგინეტი	1.15	4.00
13:00	361	ფ გონსალესი-ჯოკოვიჩი	1.20	4.00
13:00	362	ხიუიტი-მონეური	1.20	3.80
13:00	363	მატი-სერა	1.45	2.40
13:00	364	ა მარტინი-კინლმანი	1.11	5.00
13:00	365	დ ფერერი-ჩარდი	1.05	6.50
13:00	366	რამირეს იდალგო-კ როხუსი	1.45	2.40

			1	2
		ჩოგბურთი.ქალები Roland Garros		
		1 ივნისი		
13:00	348	დემენტიევა-კუტუზოვა	1.04	6.00
13:00	349	კასტანო-დეში	1.80	1.80
13:00	367	გრენეფელდი-ჯ.ეკსონი	1.20	3.70
13:00	368	მეღინა-კანეპი	1.20	3.70
13:00	369	მისკინა-ჩინკი	1.15	4.00
13:00	370	ხინგისი-ონდრაშკოვა	1.02	7.00
13:00	371	ჩენგი-ლისიაკი	1.20	3.70
13:00	372	პირი-პირონკოვა	1.20	3.70
13:00	373	ხანტუზოვა-ვალიარდი	1.25	3.20
13:00	374	დულკო-ფეღაკი	1.70	1.90
13:00	375	ივანოვიჩი-ლოიტი	1.15	4.00
13:00	376	კირილენკო-მ იოჰანსონი	1.15	4.00
13:00	377	კ კლიისტერსი-გრ მარტინესი	1.03	7.00
13:00	378	მორიგამი-პერი	1.35	2.50
13:00	379	ენინი-იაკომოვა	1.02	7.00

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

რეკალკანტის კვანტი
ვლადიმერ ბორისა სიენათი კმაყოფილი და უკმაყოფილოა

რაც სათამაშოდ უცხოეთში წავიდა, თუ სლოვენიურ „პოსტოინაში" განათხოვრების პერიოდს არ ჩავუთვლით, ვლადიმერ ბორისას სეზონი ასე ადრიანად არ დაუსრულებია. როცა ვოვა ლიუბლიანის „ოლიმპიაში" ჩემპიონი ვერ ხდებოდა, ფინალში მაინც გადიოდა და ჩემპიონატის ბოლო მატჩამდე საქმეში იყო. ახლა კი ბორისა უკვე თავისუფალია — მისი „სიენა" იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან გამოვარდა, არადა, სერიაში მოედნის უპირატესობაც ჰქონდა, შედარებით დაბალ საფეხურზე გასულ გუნდს ხვდებოდა...

— „რომასთან" მარცხი სულაც არ ყოფილა მოულოდნელობა — გვითხრა ვლადიმერ ბორისამ გუშინ, იტალიაში რომ შევეხმიანეთ — მართალია, რომაელებმა ჩვენზე სამი საფეხურით დაბლა დაასრულეს სერია A-ს რეგულარული ჩემპიონატი, მაგრამ ეს გუნდი საკმაოდ უხერხული მეტოქე გახლდათ. ამ სეზონში „რომასთან" 7 მატჩიდან 6 წავაგეთ და ეს სტატისტიკა ყველაფერზე კარგად მეტყველებს.

— „სიენას" ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იქნება...

— რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილოა, რადგან ასეთი ცუდი შედეგი ამ გუნდს კარგა ხანია, აღარ ჰქონია. 4 წელია, „სიენა" ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადიოდა, რამდენჯერმე ოთხთა ფინალშიც ითამაშა, წლეულს კი ტოპ-16-შიც ვერ მოვხვდით. ამასთან, იტალიის თასისთვის ბრძოლას ნახევარფინალიდან გამოვეთიშეთ, ხოლო ჩემპიონატში პლეი ოფის პირველივე რაუნდიდან „რომამ" გამოგვაგდო. ასეთ დროს ვერაფერი ნუგეშია, სერია A-ს რეგულარულ ჩემპიონატში მესამე ადგილი რომ დავიკავეთ. ყველა უკმაყოფილოა, ძალიან ცუდი სეზონი გვქონდა.

— გუნდში, ალბათ ცვლილებებია მოსალოდნელი...

— თუ ცვლილებებზე მიდგება საქმე, პირველ რიგში, მწვრთნელს, კარლო რეკალკატის გაუშვებენ. ყველა იმას ამბობდა, „სიენას" კარგი შემსრულებლები ჰყავს, მაგრამ შედეგს არამართებული სათამაშო სტილის გამო ვერ აღწევსო.

— მაინც რას უწუნებდნენ რეკალკატის?

— ამერიკელების წინააღმდეგი არაფერი მაქვს, მაგრამ „სიენაში" და მთელ სერია A-ში ძალიან ბევრი ოკეანისგაღმელია. შესაბამისად, ინდივიდუალიზმი სჭარბობს გუნდურ თამაშს. 7 წელი გავატარე „ოლიმპიაში" და ამ ხნის მანძილზე სულ სისტემურ, გუნდურ კალათბურთს ვთამაშობდით. არავინ მინახავს ისეთი, ბურთი რომ დაეჭიროს და დრიბლინგებით შეეტიოს მეტოქისთვის.

— მერე როგორ შეეგუე შენთვის უცხო სათამაშო სტილს?

— ისე ვერა, როგორც ვისურვებდი, მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, რომ გამჭირვებოდეს. საქმე ისაა, რომ მარტო მე არ ვიყავი ასეთ მდგომარეობაში. გუნდში ნახევარზე მეტი ახალწვეულები ვიყავით ამ სეზონში და რეკალკატიმ ვერ მოახერხა, ისეთი სათამაშო სტილი შეერჩია, რომლითაც მაქსიმალურ შედეგს მიაღწევდა. თითქმის ყველა უკმაყოფილოა საკუთარი თავით. აშკარად ვგრძნობდი, რომ მეტი შემეძლო, მაგრამ მაქსიმუმს ვერ ვავლენდი. ვცდილობდი, დაცვაში კარგი თამაშით სხვა ნაკლოვანებები გადამეფარა და ამას მეტ-ნაკლებად ვახერხებდი.

— და მაინც, განვლილი სეზონით კმაყოფილი ხარ თუ უკმაყოფილო ?

— ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარმეთქი, მაგრამ მშვიდად ყოფნის უფლებაც არ მაქვს. მაინც პირველი წელი იყო იტალიაში, ახალ გუნდში, სულ სხვა გარემოში. ვიცოდი, რომ კარგ შედეგს ჩემი მიზეზით კი არა, როგორც გითხარით, არასწორად შერჩეული სათამაშო ტაქტიკის გამო ვერ ვაღწევდი. „ოლიმპიაში" რომ მეთამაშა, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტად შედეგიანი ვიქნებოდი. მაგალითისთვის, ევროლიგის მატჩებში „სიენას" მაისურით 8 ქულას და 2 მოხსნას რომ ვაკეთებდი, „ოლიმპიაში" რომ მეთამაშა, დაახლოებით 18 ქულას და 8 მოხსნას მოვაგროვებდი.

— საკადრო ცვლილებებზე რომ მიდგეს საქმე, შენ არ შეგეხებიან?

— მე კიდევ ერთი წელი გარანტირებული კონტრაქტი მაქვს, რომლის ერთი სეზონით გახანგრძლივებაცაა შესაძლებელი, თუ ამას ორივე მხარე ვისურვებთ. თანაც ჩემით უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ.

— გასული სეზონის რომელი მატჩი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?

— ალბათ, „უდინესთან" ნათამაშევი, რომელიც მესამე მატჩი იყო „სიენას" მაისურით და რომელშიც 21 ქულა ჩავაგდე 24 წუთში. კარგად მახსოვს დებიუტიც, რომელშიც 11 ქულას მოვუყარე თავი. მერე რამდენიმე ხანს სათადარიგოდ მომიწია ყოფნამ და სლოვენიის პასპორტი რომ ავიღე, იტალიაში ლეგიონერად აღარ ვითვლებოდი და სისტემატურად ვთამაშობდი.

— სიენელთაგან ყველაზე კარგად ვისთან ხარ?

— ადამიანური ურთიერთობების მხრივ, „სიენა" მართლაც გამორჩეული გუნდია. მართალია, არაერთი ეროვნების კალათბურთელი თამაშობს, მაგრამ ერთმანეთს ისე ვუგებთ, უბრალო კონფლიქტიც კი არ მომხდარა. მე პირადად ეურელიუს ჟუკაუსკასთან, რიტმანას კაუკენასთან და ანდრეა პეჩილესთან ვმეგობრობ. ისე კი, მთელი „სიენა" ჩემი ახლობელია.

— საქართველოს ნაკრების სამომავლო შანსებზე რას იტყვი?

— ადრე, როცა გადამწყვეტი მატჩები გვქონდა, ბევრს ვლაპარაკობდით წარმატებაზე და ვერასდროს ვერ ვაღწევდით. ახლა არ მინდა, ბევრი ვილაპარაკო, უბრალოდ, იმედიანად ვარ განწყობილი და ეგაა.

— იმედის საფუძველს რა გაძლევს?

— ბოლოს და ბოლოს შარშანდელთან შედარებით ერთი წლით გავიზარდეთ, გამოცდილება შეგვემატა და მწვრთნელიც კარგი გვყავს. ზაზა ფაჩულიას წარმატებები ყველას კარგად მოეხსენება. ნიკა ცქიტიშვილიც ისეთ გუნდშია, კარგ ფორმაში იქნება. აქეთ მანუჩარ მარკოიშვილი, შემონდ უილიამსმაც თუ ითამაშა, ხომ მთლად კარგი.

— ვახტანგ ნაცვლიშვილიც დაუბრუნდა მოედანს...

— ვატო ჩემს პოზიციაზეა და შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდება — ეს ხუმრობით, უნდა, თორემ მისი დაბრუნება რომ გაუხარდა, ამას რა თქმა უნდა.

— საქართველოში როდის ჩამოხვალ?

— აგვისტოში. მანამდე სლოვენიაში ვიქნები, მე ხომ უკვე ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ.

— აგვისტოში ნაკრები უცხოურ შეკრებაზე იქნება...

— ჰოდა, სადაც ნაკრები, იქაც მე...

ირაკლი პერტაია

---

30 მაისი

დასავლეთის ფინალი

დალასი 2:2 ფინიქსი

ფინიქსი 106:86 დალასი

ფინიქსი: ნეში (21), ბელი (9), ტ. ტომასი (5), მერიონი (15), დიაუ (20); ბარბოსა (24), ჰაუსი (8), ჯონსი (3), კ. ტომასი (1), ბერკი, ცქიტიშვილი (1 წუთი, 0 ქულა)
დალასი: ჰარისი (10), ტერი (13), ჰოვარდი (16), ნოვიცკი (11), ვან ჰორნი (7); სტეკჰაუსი (10), გრიფინი (13), დიოპი (2), დამპიე (2), არმსტრონგი (2), დანიელსი, პაუელი

2006 NBA Playoffs

დალასი გაიდირკა

არა, ეს გუნდი ასე ერთი-ორი მარცხით არ გატყდება. ზედიზედ ორი წაგების და სერიაში 1:2 ჩამორჩენის შემდეგ „ფინიქსმა" ჯანი და გონი მოიკრიბა და ზუსტი ორიანების და სამიანების ისეთი სეტყვა დაუშინა, „დალასი" წელში ვერ გასწორდა.

ორმატჩიანი არყოფნის შემდეგ ფინიქსელებს დაუბრუნდათ ჯერაც ბოლო მაჯავერმოშუშებული მსროლელი რაჯა ბელი და მოედანზე მისმა გამოჩენამ ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, თითქოს მაიკლ ჯორდანი მეოთხედ მოსულიყო კალათბურში. „ფინიქსში" მას ნახევარი წლის უთამაშებელი გუნდის ლიდერივით შეხვდნენ. მწვრთნელმა მაიკ დანტონიმ მაშინვე ამოაგდო დამწყები ხუთეულიდან ბრაზილიელი ლეანდრო ბარბოსა, სტივ ნეშის გვერდით კუთვნილი ადგილი რაჯას დაუბრუნა და არც უნანია, მიუხედავად იმისა, რომ რაჯამ მხოლოდ 9 ქულა გააკეთა, სათადარიგო ბარბოსამ კი გუნდში უმეტესი 24 გააზერხა.

„ის 30 წუთზე მეტი იბრძოდა და მეტოქეებს ცხოვრებას ურთულებდა. განა მას სხვა რამე უნდა, განა რამეს ითხოვს? არა, ის უბრალოდ და უპრეტენზიოდ აკეთებს იმას, რასაც ეტყვიან და საერთო საქმეში დიდ აგურს დებს" — ამბობს ბელზე დანტონი.



რაჯა ბელს დაბრუნებას და გამარჯვებას ნიკა ცქიტიშვილიც ულოცავს

თვითონ თამაშში „ფინიქსმა" მისხალი შანსიც არ დაუტოვა „დალასს", რომელსაც წლევანდელ პლეი ოფში ასე უიმედოდ არ წაუგია. მასპინძლები მეორე მეოთხედიდან განუხრელად ზრდიდნენ სხვაობას და მეოთხე მეოთხედში 25 ქულასაც უწიეს. ასეთი თამაში, შეიძლება ითქვას, შვებასავითაა გუნდის ლიდერებისთვის. დანტონიმ რიგრიგობით დაასვენა წამყვანი მოთამაშეები და ტრავმირებული ბრაიან გრანტის გარდა ყველა ათამაშა, მათ შორის, ნიკა ცქიტიშვილიც, რომელმაც დასავლეთის ფინალში პირველად შედგა ფეხი მოედანზე, ოღონდ წუთნახევრის განმავლობაში არც ქულა გაუკეთებია, არც მოხსნა და არც სხვა რამ. ასე განსაჯეთ, ჯარიმაც კი არ მიუღია.

ეს მატჩი უცუდესი გამოდგა „დალასის" გერმანელ ლიდერ დირკ ნოვიცკისთვის, ვისაც რეგულარული ჩემპიონატიდან მოყოლებული, 42 თამაშში — აქედან 14 საპლეიოფოში — 20 ქულაზე ნაკლები არ გაუკეთებია. გერმანელი კია, მაგრამ მანქანა რომ არაა, აგერ, გამოჩნდა — დირკი მხოლოდ 11 ქულას დასჯერდა. წააგებდა ასე უიმედოდ „დალასი", აბა, რა იქნებოდა.

სერიის მეხუთე მატჩი 2 ივნისს დალასში გაიმართება.

კოტე ყორშია

მსოფლიოს ვარსკვლავები ლელოების წინააღმდეგ

საუკუნის მატჩი

116-წლიანი ისტორია თბილისში

ბარბაროსთა ტურნე. 4 ივნისი. 18.00. თბილისი. «მიხეილ მესხი»

საქართველო – ბარბაროსები

19 წლის იყო, ბორჯღალიანი შინდისფერი კვართი რომ მოირგო და მას აქეთ საქართველოს ნაკრების შეუცვლელი მოთამაშეა. ბარბაროსებთან ისტორიული ჯახი ჩვენების ათიანისთვის 50-ე სანაკრებო მატჩი იქნება. ჯიმშელაძე პირველია, ვისაც საქართველოს ნაკრებში ამდენი უთამაშია. ასეთ დროს, რაგბის წესია, იუბილარს საგანგებო კეპს ჩუქნიან.

ჯიმშელაძე სხვა მხრივაც რეკორდსმენია. ნაკრების უპირველეს მექულეს ჩვენებისთვის 8 ლელო, 53 გარდასახვა, 44 საჯარიმო, 3 არეკნი და ჯამში 287 ქულა მიუშველებია.

რაკი ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე და ვიცე-კაპიტანი გია ლაბაძე ტრავმების გამო კვირას ვერ ითამაშებენ და 22-კაცა საბარბაროსო არავინაა, ვისაც ერთხელ მაინც უკაპიტნია „ლელოებისთვის", ბარბაროსებთან ქართველების ყოჩობა სწორედ პალიკო ჯიმშელაძეს დაევალა. იგი ჩვენი ნაკრების 16-წლიან მატიანეში რიგით მე-15 კაპიტანი იქნება...



12 წელია, პალიკო ჯიმშელაძე სანაკრებო ტვირთს ატარებს

ორმოცდაათიანი კაპიტანი: დაიდოს და დავარტყამ

პალიკო ჯიმშელაძე ჯონი უილკინსონს საფრანგეთში მალავს

— პირველი ხარ, ვისაც საქართველოს ნაკრებში 50 კეპი დაუგროვდება. რაიმე განსხვავებული გრძნობა არ გაქვს?

— რა თქმა უნდა, სულ სხვა განცდაა, როცა საიუბილეო მატჩს თამაშობ, მაგრამ როგორ აგიხსნათ ეს განცდა, არც ვიცი... ერთი კი ნაღდია, რომ გითხრათ, „ბარბაროსებთან" მატჩისთვის გამორჩეულად ვემზადები-თქო, არ იქნება მართალი. ჩვეულებრივად ვემზადები, ისე როგორც ყოველი მატჩის წინ.

— მაგრამ სულ სხვაა, როცა „ბარბაროსებთან" ნაკრების ყოჩი იქნები, თანაც აქამდე გუნდისთვის არ გიკაპიტნია...

— აქამდე ისე მოხდა, რომ გუნდის კაპიტნობა ვერ მოვახერხე, თუმც გული არასდროს დამწყვეტია. ჩვენ ერთნი ვართ და ნაკრებში ყოველთვის იყვნენ ავტორიტეტიანი და გამოცდილი მოთამაშეები. ახლა კი სიურპრიზი გამიკეთეს და, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა. თანაც გუნდი ვილაცასთან კი არა, მსოფლიოს ვარსკვლავებთან გამყავს სათამაშოდ.

— უკვე 31 წლის ხარ და კიდევ რამდენ ხანს აპირებ ნაკრებში თამაშს?

— საგაისო მსოფლიოს თასზე აუცილებლად უნდა ვითამაშო, მერე კი ვნახოთ. ჯერ არ დავბერებულვარ, თამაში კიდევ შემიძლია, მაგრამ ისიცაა, რომ აქამდე სეზონში სამ-ოთხ მატჩს ვთამაშობდით, ახლა კი თავის ტესტებიანად ექვსი-შვიდი მატჩი გვიწევს. ალბათ, ორი-სამი წელი ვიქნები, მერე კი წავალ, აბა, ხალხს თავს ხომ არ მოვაბეზრებ? თანაც ძალიან კარგი თაობა მოდის და დროა, მათაც მივცეთ გასაქანი.

— თაობა მიდისო, თქვი და 10 ნომერზე შენს შემცვლელად ვის მიიჩნევ?

— კარგი ბიჭები ბევრნი არიან, მაგრამ მაინც თემურ სოხაძეს და ოთარ ბარკალაიას გამოვარჩევდი. ძალიან კარგი ათი ნომრები დადგებიან.

— სანაკრებო მატჩებიდან რომელს გამოარჩევდი?

— ასეთი ბევრია... უცბად რომ გამახსენდება, ასეთი მატჩი ჯერჯერობით ექვსია — ერთი თერთმეტი წლის წინ სოფიაში ბულგარეთთან გამართული შეხვედრაა. მაშინ ნაკრებში დებიუტი მქონდა. რუმინეთთან სტუმრად და შინ მოგებული მატჩები, როდესაც ერთა თასი და ანთიმოზ ივერიელის თასი მოვიგეთ. რუსეთთან ოთხი წლის წინანდელი თბილისური დაპირისპირება, როდესაც მსოფლიოს თასზე გავედით. მსოფლიოს თასზე ინგლისთან მატჩი და, რა თქმა უნდა, მომავალი „ბარბაროსებთან" ჯახი. ინგლისთან მატჩი ახლაც თვალწინ მიდგას. წარმოიდგინეთ, ჩემ წინ მთელი თანავარსკვლავედი იყო, ამათში გამორჩეული კი ჯონი უილკინსონი...

— თამაშის შემდეგ მაისურები ხომ არ გაგიცვლიათ?

— გავცვალე აბა, რას ვიზამდი! უილკინსონის სახელიანი მაისურა საფრანგეთში ჩემს ბინაში საგულდაგულოდ დავმალე, არავის არ მივცემ.

— სიტყვამ მოიტანა და, ჯონი უილკინსონი საუკეთესო ათ ნომრად მიგაჩნია?

— უილკინსონი სრულყოფილი მოთამაშეა, ხელითაც და ფეხითაც შეუდარებლად თამაშობს, მაგრამ მე უფრო ახალზელანდიელი კარლოს სპენსერი მომწონს. სპენსერს ფეხით თამაში არ უყვარგა, მაგრამ ხელით ისეთ რაღაცებს აკეთებს, არ შეიძლება, არ აღფრთოვანდე.

— ნაკრებებიდან ვის გულშემატკივრობ?

— ახალ ზელანდიას. მათი სტილი ძალიან მომწონს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რა ემართებათ, ვერ გავიგე. ნახევარფინალამდე ყველას ანადგურებენ, მერე კი მოსაგებს წააგებენ.

— დაბოლოს, „ბარბაროსებთან" მატჩზე მინდა, გკითხო...

— კარგი იქნება თუ გულშემატკივრამდე მიიტანთ ინფორმაციას, ვინ და რას წარმოადგენენ „ბარბაროსები". ქომაგმა უნდა იცოდეს, რომ ეს მატჩი არაფერს არ წყვეტს. „ბარბაროსებს" ძალიან უყვართ რაგბი, ალალად და ჯენტლმენურად თამაშობენ და ეს ანიჭებთ სიამოვნებას. ჩვენც თავისუფლად უნდა ვითამაშოთ და ვისიამოვნოთ მართლაც დიდი რაგბით.

— ერთიც, „ბარბაროსები" ჯარიმას კარში არ ურტყამენ. შენი, როგორც კაპიტნის გადასაწყვეტია, დაარტყამთ თუ არა თქვენ ჯარიმას.

— „ბარბაროსებს" ჩვენამდე ინგლისთან ჰქონდათ მატჩი და ინგლისელებმა დაარტყეს ჯარიმები. ჩვენზე ნაკლები არ არიან და... დაიდოს ჯარიმა და დავარტყამ.

ბაჩო სვანიძე

გურამ დოლელიძისა და ალექსანდრ ბალიანის ფოტოები

თურქეთში თურქეთამდე

თერთმეტ მარმარისულს ერთი ისრაელშიც დაემატა

ქართველმა მოჭიდაველებმა მორიგი საერთაშორისო ტურნირები მოიარეს ხვავიანად და უკვე საგრძნობლად დამძიმებულ ყულაბაში კიდევ თორმეტი მედალი ჩაუშვეს. ამჯერად ჭაბუკებმა იყოჩაღეს, თუმც ამ თორმეტიდან ერთი მედალი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ძირითადი ნაკრების კანდიდატმა გენადი გოგიშვილმა მოიპოვა.

გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში ტურნირმოვლილი მწვრთნელები და მოჭიდავეები ჟურნალისტებს შეხვდნენ. ბერძენ-რომაელებმა და თავისუფლებმა თურქულ კურორტ მარმარისში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე იჭიდავეს. ვაჟა კრავეიშვილის ჭაბუკებმა შვიდი მედალი მოაგროვეს და გუნდურ პირველობაში მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩნენ. ზურაბ დათუნაშვილი, არჩილ თურმანიძე (50 კგ) და თორნიკე ნაჭყეპია (58კგ) ფინალებში დამარცხდნენ. ხოლო პაატა ბაკურაძე (58კგ), არსენ კახაბრიშვილი (63კგ), ზაურ ჩიხლაძე (69კგ) და გოჩა ჯეირანაშვილი (76კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

თამაზ ბენდიანიშვილის შეგირდებმა ოთხი მედალი მოიპოვეს, თუმც აქედან ერთი ოქროსია. ჩემპიონი თორნიკე ხიდაშელი (მძიმე) გახდა. დავით ხუციშვილმა (50კგ), ზაურ აბრამიშვილმა (69კგ) და გიორგი ჩიტაშვილმა (85კგ) კი ბრინჯაოები ჩამოიტანეს.

ჭაბუკებს 23-28 ივლისს სტამბოლში ევროპის ჩემპიონატი ელით. ორივე მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მარმარისის ტურნირი ბიჭებს წინასაევროპო რეპეტიციად გამოადგებათ. სტამბოლში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრებები თითო ტურნირს და შეკრებას გეგმავენ.

მეთორმეტე მედალზე კომენტარი რამაზ ნოზაძის პირადმა მწვრთნელმა ოთარ ტატიშვილმა გააკეთა:

— 27-28 მაისს ისრაელში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. რვა ქვეყნის უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. საქართველოს ნაკრები კი მხოლოდ ერთი კაცით გამოვიდა. 74 კილოგრამში მოჭიდავე გენადი გოგიშვილი ბრწყინვალე იყო. ფინალამდე რამდენიმე გამოცდილ მეტოქეს აჯობა, ხოლო ფინალში ტიტულებით დახუნძლულ რუსს, ალექსანდრ გლუშკოვს სძლია. ეს უკანასკნელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორია და ისრაელშიც ჩემპიონობის უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა. გენადი გოგიშვილის სახით ჩვენს მსოფლიოს ჩემპიონს მანუჩარ კვირკველიას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. ასეთი კონკურენცია ყველაზე მეტად ქართულ ჭიდაობას წაადგება.

ოთარ მაღლაკელიძე

ქალებმა ფინეთიდან გამოცდილება წამოიღეს

ახლახანს ტამპერეში გამართული ევროპის ჩემპიონატი სადებიუტო იყო ქართველი ძიუდოისტი ქალებისთვის ბუნებრივია, მათგან მედალს არავინ ითხოვდა. საკითხავი ის იყო, აიმან კალიევა (52 კგ), დუსკა ქერიმოვა (57კგ), ნინო ოძელაშვილი (70კგ) და ირინა ლეონიძე (100კგ) რამდენად შორს მოახერხებდნენ წასვლას. პირველი სამისთვის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა, საწყისი ორთაბრძოლები დათმეს. აი, ირინა ლეონიძემ კი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა — მან გერმანელი სანდრა კოპენი დატოვა უშანსოდ. მომდევნო შეხვედრაში ირინამ დასანანი მარცხი იწვნია ბელარუს იულია ბაროშიკთან, ბოლოს კი სანუგეშოშიც წააგო გამოცდილ პოლონელ მალგიჟატა გორნიცკისთან და ბრძოლა შეწყვიტა. ტამპერეში გამართულ ევროპის ჩემპიონატსა და უახლოეს გეგმებზე ნაკრების თავკაცს გოდერძი ველიჯანაშვილს გავესაუბრეთ

— მთლიანობაში გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ გოგონებს დებიუტი ჰქონდათ და ბევრს ვერ მოვთხოვდით. ყველამ ბოლომდე თავდადებით იბრძოლა. აიმან კალიევა კი სულაც მსაჯებმა დაგვიჩაგრეს. არადა, კალიევა მშვენივრად იყო მომზადებული და ტაქტიკურად შეცდომაც არ დაუშვია. თანაც მას ბოლოს ორი-სამი თვე დანებებულიც ჰქონდა ძიუდოსთვის თავი და მე დავაწყებინე ვარჯიში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კალიევას გამოსვლა დადებითად უნდა შეფასდეს. საერთოდ კი, მისი დიდი იმედი მაქვს საოლიმპიადო ლიცენზიისთვის ბრძოლაში.

დუსკა ქერიმოვამ და ნინო ოძელაშვილმაც პირველივე ორთაბრძოლები დათმეს, თუმცა თავი არც მათ დაუზოგავთ. მომავალში მათგან მეტს ველი, ამის პოტენციალი ნამდვილად აქვთ. ირინა ლეონიძემ კი ძალიან გაგვახარა სანდრა კოპენის ძლევით. მომდევნო წრეში ძლიერ ბელარუს იულია ბაროშიკს არაფერი დაუთმო, მაგრამ მაინც დამარცხდა.

— ტამპერეში ხომ ჩვენი სუსტი მხარეებიც უნდა გამოჩენილიყო, რაში მოვისუსტებთ?

— მერწმუნეთ, გუნდი ევროპის ჩემპიონატს სათანადოდ მომზადებული შეხვდა. ტაქტიკური და ტექნიკური თვალსაზრისით პრობლემები არ გვქონია, არც ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდათ გოგონებს. რაც შეეხება სუსტ მხარეებს, მეტოქეებს ნამდვილად არ ჩამოვრჩებით ბევრით. უბრალოდ, მათ გამოცდილება აქვთ ჩვენზე მეტი, რაც აგრერიგად საჭიროა ასეთ დონეზე საასპარეზოდ.

— რატომ არ წაიყვანეთ სხვა გოგონებიც. თუნდაც გამოცდილების მისაღებად?

— ამ ეტაპზე ისინი ვამჯობინეთ, ვინც უფრო გამოცდილი იყო. ჯერ კიდევ მიდის სელექციის პროცესი. ნაკრებში კონკურენცია მართლაც დიდია და საუკეთესოები დაიკავებენ ადგილს მომდევნო ტურნირებში საასპარეზოდ. მჯერა, მომავალში უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

— უახლესი გეგმები როგორი გაქვთ?

— 4-5 ივნისს ლაგოდეხში შეკრება გვაქვს. სპარინგპარტნიორობას აზერბაიჯანის საკმაოდ ძლიერი ნაკრები გაგვიწევს. გვინდა, რომ ეს შეკრება მაქსიმალურად გამოვიყენოთ. 23-25 ივნისს ევროპირველობა გველის ახალგაზრდებს შორის, რომელსაც უნგრეთი უმასპინძლებს.

ლექსო მაისურაძე

პატარა და დიდი, ყველა კლდეზე მიდის

საქართველოში მეკლდეურობა ბევრ გოგონასა და ჭაბუკს რომ აინტერესებს, ეს ჭიათურის მახლობლად, სოფელ კაცხის მიმდებარე კლდეებზე გამართულმა ახალგაზრდულმა ჩემპიონატმაც დაადასტურა, როცა სარბიელზე ამ სახეობის უამრავი მიმდევარი გამოვიდა

სამწუხაროდ, საქართველოში ასაკის მატებასთან ერთად მეკლდეურობის მიმდევართა რაოდენობა კლებულობს, რადგან ახალგაზრდობა ამ სახეობაში დაუფინანსებლობის გამო პერსპექტივას ვეღარ ხედავს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა კაცხის კლდეებზე ახალგაზრდული პირველობის კვალდაკვალ გამართულმა საქართველოს ჩემპიონატმა, სადაც მონაწილეთა რაოდენობა ძირითადად ისევ უმცროსებმა შეავსეს, უფროსი ასაკისანი კი გაცილებით ცოტანი აღმოჩნდნენ. ამასთან, შეჯიბრების მონაწილე გუნდებმა ერთი მოისაკლისეს — თბილისის მთამსვლელთა და მეკლდეურთა კლუბის ნაკრები, რომელსაც უფროსი ასაკის სპორტსმენები საერთოდ არ ჰყოლია და ამიტომ შეჯიბრებას გაცლა ამჯობინა.

თავად მასპინძლები, ჭიათურელები ერთადერთი სპორტსმენით გამოვიდნენ, რომელიც იქ არანაირი სექციის არარსებობის გამო საკუთარი ენთუზიაზმით ვარჯიშობს. არადა, ერთ დროს ჭიათურელებს მეკლდეურთა სექციებიც ჰქონდათ, ამ სახეობის კლუბი „კაცხი“ და შეჯიბრებებშიც გამოდიოდნენ.

როგორც საქართველოს მეკლდეურთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა და ამ სახეობაში ჩვენი ქვეყნის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლადო გურჩიანმა გვითხრა, ჭიათურში კვლავ დაინტერესდნენ მეკლდეურობით და ამ საქმეში თბილისელები თანადგომასაც პირდებიან. მანამდე კი, კაცხის კლდეებზე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ქარელის, მესტიის, ლენტეხის, ყაზბეგისა და თავად ჭიათურის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ვაჟთა შორის საუკეთესო იყო თბილისელი ავთანდილ ქურასბედიანი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ მოიპოვა. ამასთან, იგი უძლიერესი იყო როგორც სწრაფ, ისე რთულ ცოცვაში.

ვაჟთა შეჯიბრებაში უმცროსი ასაკის მეკლდეურთაგან თავი გამოიჩინა თბილისელმა გურამ ხუციშვილმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დასრულებულ თანატოლთა პირველობაში ორივე დისციპლინაში მესამე იყო, ახლა კი რთულ ცოცვაში უფროსებშიც ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ამ მხრივ თავი გამოიჩინა მისმა დამ, 15 წლის ნუცა ხუციშვილმაც, რომელმაც ახალგაზრდებში, საშუალო ასაკის სპორტსმენებში გამარჯვების მერე ახლა უფროსებში ჩემპიონობაც შესძლო. მან ამ წარმატებას რთულ ცოცვაში მიაღწია, ხოლო სწრაფ ცოცვაში მეორე იყო, ყველას კი ყაზბეგელმა ნინო ჩარკვიანმა აჯობა.

საერთო გუნდურ პირველობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა იმარჯვეს, რაც ბუნებრივია, რადგან ხელოვნურ კლდეებზე ვარჯიშის უკეთესი პირობებიც აქვთ და მათთვის პრობლემა არც ბუნებრივი სარბიელის მოძებნაა.

მეორე-მესამე ადგილები კი, შესაბამისად ბათუმელებმა და ლენტეხელებმა გაიყვეს.

ავთანდილ ბუკვიზელი

ქარიშხლმა სერბეთამდე მიაღწია

დღეს გამთენიისას სერბეთში გაფრინდა საქართველოს 18-წლამდელ ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში სათამაშოდ.

ბელგრადიდან ორასიოდე კილომეტრით დაშორებულ ლოზნიცაში ბექა ორჯონიკიძის ბიჭებს მეტოქეებად მასპინძლების გარდა, უნგრელი და პორტუგალიელი თანატოლები ეყოლებათ. ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი ივლისის ბოლოს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლებას მიიღებს.

ჩვენი ნაკრების ბირთვს შეადგენენ ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის გუნდის „ქარიშხალას“ მოთამაშეები: გაგა სამყურაშვილი, გიგა ტორონჯაძე, ნიკოლოზ ჯორბენაძე, რატი მსხვილიძე, ზურა მელქოშვილი, გიორგი ჯოხარიძე, თორნიკე ზაალიშვილი, დავით საჯაია, თეიმურაზ ლეჟავა, ირაკლი და გიორგი ჩიქოვანები. მათთან ერთად არიან „ხელბურთის კლუბ თბილისიდან“ ივანე ქარდავა და ავთანდილ ჟღენტი, აგრეთვე ნიკოლოზ სვიმონიშვილი „სტუ-შევარდენიდან“.

ფავორიტებად უნგრელი და სერბი ხელბურთელები ითვლებიან. სწორედ მათთან მოუწევთ ქართველებს ხვალ და ზეგ შებრძოლება, ტურს კი კვირას პორტუგალიასთან მატჩით დაასრულებენ.

მეტოქეები ძლიერი კი გვყავს, მაგრამ იმედია, ჩვენი ბიჭები ყველაფერს იღონებენ სატალინო საგზურის მოსაპოვებლად.

გია ახალაძე

როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

AFP

ენდი როდიკმა ფეხი ვერ აიდგა

31 მაისი

კაცები

მეორე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ალეხანდრო ფელა (კოლუმბია) 6:1 6:4 6:3; **კარლოს მოია** (30, ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3 6:4 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 6:2 4:1 (უარი); **ტომაშ ბერდიხი** (20, ჩეხეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:3 6:1 6:1; **ხუან-კარლოს ფერერო** (24, ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:2 6:4 6:2; ნიკოლას მასუ (ჩილე) — მაქსიმ მირნი (ბელორუსია) 6:4 7:5 6:4; ნიკლას კიფერი (13, გერმანია) — მარკ გიკუელი (საფრანგეთი) 6:0 6:1 5:7 3:6 11:9; **მარიო ანჩიჩი** (12, ხორვატია) — პოლ კაპდევილია (ჩილე) 7:5 6:3 7:6; **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) — ხოსე აკასუსო (26, არგენტინა) 4:6 7:6 6:3 6:1; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — სტეფანო გალვანი (იტალია) 7:5 6:1 3:6 2:6 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:2 3:6 7:5 6:0; **გასტონ გაუდიო** (10, არგენტინა) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:3 6:7 6:4 3:6 6:4; **რაემონ სლუტერი** (ჰოლანდია) ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 6:1 6:4 6:1; ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 3:6 2:6 (გადაიდო); სებასტიან გროჟანი (21, საფრანგეთი) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:1 4:6 6:4 (გადაიდო); ტომი რობრედო (7, ესპანეთი) — ილია ბოზოლიაჩი (სერბეთი) 7:5 6:2 1:3 (გადაიდო)

ქალები

პირველი წრე

ალიზე კორნეტი (საფრანგეთი) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:4 4:6 6:1

მეორე წრე

არვანე რეზაი (საფრანგეთი) — აი სუგიამა (9, იაპონია) 4:6 6:4 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — მარიონ ბარტოლი (25, საფრანგეთი) 2:6 6:4 6:1; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:4 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (16, ჩეხეთი) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 6:1 6:3; **კატარინა სრებოტნიკი** (24, სლოვენია) — ემილი ჰარკლროუდი (აშშ) 6:3 6:2; **დინარა საფინა** (14, რუსეთი) — ჰანა შრომოვა (ჩეხეთი) 6:0 6:2; **ფლავია პენეტა** (17, იტალია) — კირსტენ ფლიპკენსი (ბელგია) 6:1 6:0; **ნა ლი** (ჩინეთი) — ანა ჩაკვეტაძე (27, რუსეთი) 7:5 6:3; **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:1 7:6; **ფრანჩესკა სკიავონე** (9, იტალია) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:2 6:2; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — ანდა პერიანუ (რუმინეთი) 3:6 7:6 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (8, რუსეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 7:5 6:2; **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) — სოფია არვიდსონი (29, შვედეთი) 6:1 7:5; **კაროლინა შპრემი** (ხორვატია) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:4 4:3 (პენგმა შეწყვიტა); **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) — იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკეთი) 6:4 6:2; ვინუს უილიამსი (11, აშშ) — ემა ლეინი (ფინეთი) 7:6 6:2

ორდღიანი სიჩუმის შემდეგ „როლანდ გაროსი" ერთდროულად რამდენიმე ხმაურიანი სენსაციით აფეთქდა და „როლან გაროსის" წითელ თიხაზე ბობოლათა სისხლი დაიღვარა. მოულოდნელი ამაში არც არაფერი ყოფილა — გასაკვირი ის იყო, რომ ფავორიტები მანამდეც უდანაკარგოდ მიდიოდნენ.

პარიზში ტყუილად მოუწია ჩასვლა ენდი როდიკს — იანკიმ სამი სრულფასოვანი სეტის თამაშიც კი ვერ მოასწრო. გასული კვირის შუაწელზე დიუსელდორფში ამოტრიალებულმა ფეხმა ენდი-ბოი მაინც დაალალატა, რის გამოც მან მესამე სეტის დასაწყისში თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა.

როდიკის წაგება სენსაცია შეიძლება არც იყოს, მას ხომ თიხნარზე ხეირიანად არასოდეს უთამაშია, თან ტრავმაც აწუხებდა, მაგრამ ასე მაღლა განთესილი მოთამაშის გავარდნა მაინც აღსანიშნი მოვლენაა.

„ყველაფერი ამ ფეხის ბრალია. თავიდან ცოტა კიდევ ვიტკინე და მორჩა, ძლივს დავრბოდი. ამ ტრავმებმა ხომ სიცოცხლე მომიშხამა. ვეცდები, საბალახო სეზონისთვის მაინც ფეხზე დავდგე, თორემ ეს წელიც იკარგება" — ძალიან ნაღვლიანი იყო ამერიკელი.

კიდევ ერთი სენსაციის მოლოდინში იფშნეტდნენ ხელებს სპეციალისტები — ლეიტონ ჰიუიტს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთი მატჩი თუ ჰქონოდა ჩატარებული გრუნტზე, ისიც ერთი კვირის წინ და მაშინაც ლამის კორტზე დაიმტვრა.

თუმცა ავსტრალიელმა იმედები გაუცრუა არაკეთილმოსურნეთ და მეორე წრეში გავიდა. ლეიტონს საკმაოდ კი გაუმართლა, რადგანაც მეტოქედ მასავით გრუნტის მოძულე იან ჰერნიხი ჰყავდა.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა მარატ საფინს, რომელიც თავიდანვე მეცხრე ნომრად განთესილი ჩილელ ფერნანდო გონსალესს დაეტაკა. აქ დიდ ომს მოელოდნენ, მაგრამ რუსმა მხოლოდ ორი სეტი იბრძოლა. მარატი აშკარად პრობლემებს არის შეჯახებული — თანაც არა ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური კუთხით. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ბავშვური შეცდომები, რასაც საფინი ჩილელთან შეხვედრაში უშვებდა.

გონსალესთან მარცხით დაბოღმილი რუსი არც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა და მაქსიმალური ჯარიმითაც „დასაჩუქრდა" — საფინს 10 000 დოლარის გადახდა მოუწევს.

ყველაზე დიდი სენსაცია კი ნადია პეტროვას მარცხი იყო. ამაზე საკმარისად ვთქვით, ამიტომ მხოლოდ ერთს დავამატებთ — რუსმა ყველაფერი ფეხის ტრავმას დააბრალა.

სამაგიეროდ, წლევანდელი დებიუტისას იფრინა შარშანდელმა ტრიუმფატორმა, ჟუსტინ ენენ-არდენმა და კარგი განაცხადიც გააკეთა იმაზე, რომ ტიტულის დათმობას არ აპირებს.

გუშინდელი დღის განრიგში წვიმამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა. ჩოგბურთელები საკმაოდ გაიტანჯნენ, მაგრამ შეხვედრათა ნაწილი მაინც დასრულდა.

მესამე წრეში იოლად გავიდა კარლოს მოია, რომელმაც მიხაილ იუჟნის სამ სეტში და ორ საათში მოუგო. ბარსელონელს შემდეგ წრეში კიდევ ერთ რუსთან, ნიკოლაი დავიდენკოსთან მოუწევს თამაში და საეჭვოა, იქ რამე იოლად მოეჩვენოს. თვითონ დავიდენკომ კი მოიაზე იოლად დაძლია მეორე წრის ბარიერი.

არცთუ დამაჯერებელი პირველი წრის შემდეგ, თავისი სტატუსის შესაბამისი თამაში აჩვენა როჯერ ფედერერმა და დაამტკიცა, რომ პარიზში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

არას დაგიდევთ მატს ვილანდერის პროგნოზებს მარია შარაპოვაც. ლეგენდარულმა შვედმა კი თქვა, ეჭვი მეპარება მარიას მომზადების დონეშიო, მაგრამ რუსმა პრიმამ ძალიან იოლად, ორ სეტში მოუგო ივეტა ბენეშოვას. ჩანს, პირველ წრეში სასწაულად გადარჩენილ შარაპოვას თვითრწმენა აშკარად მოემატა.

ქახა ლომჯარიძე

საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი (იტალია)

IX ტური

კაცები

საქართველო 0:4 ჩინეთი

ბაადურ ჯობავა	0:1	ქსიანგჟი ბუ
გიორგი ყაჭეიშვილი	0:1	ჟონგ ჟანგი
მერაბ გაგუნაშვილი	0:1	იუე უანგი
თამაზ გელაშვილი	0:1	ჰუა ნი

უკრაინა 1,5:2,5 სომხეთი
რუსეთი 1,5:2,5 საფრანგეთი
აშშ 2:2 ჩეხეთი
გერმანია 1,5:2,5 კუბა

ქალები

უნგრეთი 0,5:2,5 საქართველო

ჰოან თან თრანგი	0,5:0,5	ნინო ხურციძე
ილდიკო მადლი	0:1	ლელა ჯავახიშვილი
ანიტა გარა	0:1	მაია ლომინეიშვილი

ჩინეთი 1,5:1,5 რუსეთი
აშშ 0,5:2,5 უკრაინა
ბულგარეთი 2,5:0,5 ვიეტნამი
სომხეთი 2,5:0,5 გერმანია

დიდმა ჩინეთმა პატარა საქართველო გადასანსლა

ჩინელებთან 0:4 მარცხის შემდეგ ჩვენი დიდოსტატები ცხრილის ქვემოთ დაეშვნენ და მეხუთე ადგილიდან მეთვრამეტემდე ჩამოქვეითდნენ.

ქართველებიდან ყველაზე დიდხანს გიორგი ყაჭეიშვილმა იბრძოლა. იგი შავი ფიგურებით ჟონგ ჟანგს დაეჯახა, 81 სვლა ეთამაშა და ბოლოს მაინც დაუთმო ქულა.

მეცხრე ტურის შემდეგ ოლიმპიადას კვლავაც სომხები ლიდერობენ. ჩვენმა მეზობლებმა 26,5 ქულა დააგროვეს და ქართველთა გამამწარებელ ჩინეთს ერთი ქულით უსწრებენ.

გაგვახარეს ქართველმა გოგონებმა, მათ უნგრელთა ძლიერ გუნდს მოუგეს 2,5:0,5 და მესამე ადგილზე ავიდნენ. ჩვენებიდან იმარჯვეს ლელა ჯავახიშვილმა და მაია ლომინეიშვილმა. პირველ დაფაზე მოთამაშე ნინო ხურციძე კი შავი ფიგურებით 35 სვლა ებრძოლა თჰან ჰაგ ჰოანგს, ზედმეტ გართულებებს მოერიდა და ყაიმით დაშორება არჩია.

ლომინეიშვილმა შავებით ანიტა გარა დაამარცხა. პარტია 51 სვლა გაგრძელდა. ქართველმა მეტოქეს, ფლანგების განვითარების საშუალება არ მისცა და ბოლოს მეფე წაუქცია.

ლაშა გეგეჭკორი

სატურნირო მდგომარეობა ცხრა ტურის შემდეგ

კაცები		ქალები	
1. სომხეთი	26,5 ქულა	1. უკრაინა	21
2. ჩინეთი	25,5	2. რუსეთი	20,5
3. საფრანგეთი	24	3. საქართველო	19,5
4. რუსეთი	23,5	4. ჩინეთი	18,5
5. აშშ	23,5	5. ბულგარეთი	18,5
18. საქართველო	21,5		

X ტური

კაცები

საქართველო 3:1 თურქეთი

ბაადურ ჯობავა	1:0	მიხეილ გურევიჩი
ლევან ფანცულაია	1:0	სუატ ატალიკი
გიორგი ყაჭეიშვილი	1:0	უმუტ ატაკისი
დავით არუთინიანი	0:1	ბარიშ ესენი

ქალები

უკრაინა 2:1 საქართველო

ნატალია ჟუკოვა	0,5:0,5	ნინო ხურციძე
ინა იანოვსკა-გაპონენკო	1:0	ნანა ძაგნიძე
ანა უშენინა	0,5:0,5	ლელა ჯავახიშვილი

NHL პლეი ოფი 2006

30 მაისი

აღმოსავლეთი. ნახევარფინალი

კაროლინა 3:3 ბუფალო

ბუფალო 2:1 კაროლინა

1:0, 0:0, 0:1, 1:0

1:0 დიუმონი (6), 1:1 ჰედიკანი (57), 2:1 ბრირი (65)

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP



AFP

AFP

იურგენ კლინსმანს ახალი, რაღაც ჩინური ვარჯიში მოუგონია, რომელსაც იენს ლემანი და პერ მერტესაკერი ითვისებენ. ამასობაში რონალდინიოს მაგიდის ჩოგბურთისთვის მოუცლია და აქაც, ალბათ, ფინტებს ხლართავს, ხოლო რობინიოს ვარჯიშს და ჩოგბურთს გიტარა ურჩევნია. ორი ბრაზილიელი ერთობა, მესამე კი — ედმილსონი, თვალცრემლიანი გამოცხადდა პრესკონფერენციაზე. ედმილსონი მუხლის ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. პორტუგალიელებს საუზმეზე ქვეყნის პრემიერმინისტრი ჟოზე სოკრატესი ეწვია. სოკრატესმა პატივი დასდო პედრო პაულეტას და ხელი ჩამოართვა, რიგში კი მანიშე დგას.

AFP

AFP

შვედეთი

სუპერეტა

იონკოპინგი 2:2 ასირისკა

ნორვეგია

I დივიზიონი

ტრომსდალენი 1:3 პიონეფოსი

ამხანაგური მატჩები

ირანი 5:2 ბოსნია

ს. არაბეთი 0:1 თურქეთი

შვეიცარია 1:1 იტალია

სლოვენია 3:1 ტრინიდადი

საფრანგეთი 2:0 დანია

სასწრაფოდ იყიდება საუკეთესოდ მოწყობილი
ტოტალიზატორი ვაჟა-ფშაველას №45-ში
ტელ. 899-44-64-84

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge